



თემატურ სივრცეთა ქსელის კონფიგურაციის განსაზღვრის პრობლემა სამყაროს ხატის
მოდელირების კონტექსტში

ავტორი: ნათია ჩაგანავა

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია
საქართველოს უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

2016

მიმიხილვა

ნაშრომი ეხება თანამედროვე ინგლისურ ენაში „კონფლიქტის“ თემატურ სივრცეთა ქსელის ანალიზს. აღნიშნული ქსელი წარმოადგენს მოცულობით, მრავალკომპონენტურ კონსტრუქტს, ინფორმაციის „კრებულს“, რომელიც მოიცავს თემატურად მთლიანობრივი და სტერეოტიპული ცოდნის სეგმენტებს.

თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირების პროცესი გულისხმობს მრავალგანზომილებიანი ფენომენის ინტერპრეტაციათა რთული სისტემის ანალიზს, რომელიც ობიექტური და რაციონალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სინამდვილის მსგავსია.

ქსელი, როგორც ყოველდღიური ურთიერთობების, საზრისისეული ინტერპრეტაციების და ხელახალი ინტერპრეტაციების, უწყვეტი (მუდმივი) ქმნადობის პროდუქტია. იგი არ გვეძლევა აღქმის ალგორითმების სახით - იგი მუდამ ფორმირების პროცესშია - ხდება ქსელის განუწყვეტელი „გადაწყობა“ რეალობის შესაბამისად. „გადაწყობა“ არსებითად ცვლის ქსელს. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყობა ქსელს არღვევს და შესაბამისად, ადამიანებს რეალობის მათ მიერ მიღებული განსაზღვრების სისწორეში აეჭვებს, ქსელი მაინც ინარჩუნებს სამყაროს ხატისა და გამოცდილების კლავწარმოების ფუნქციას. თემატურ სივრცეთა ქსელი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ იერარქიზირებულ, ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციის მომცველ ერთეულს, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან. ვალიდური თემატური სივრცეები ქმნის გარკვეულ კონცეპტუალურ ბადეს, რომელიც წარმოადგენს ცოდნის ერთგვარ მატრიცას, რომელშიც ელემენტების შერჩევა ხდება განსაზღვრული წესების გათვალისწინებით: ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ რომელიმე ერთ სფეროს, ყველანი ერთად კი აზრობრივად (შინაარსობრივად) იყვნენ დაკავშირებული.

თემატურ სივრცეთა ქსელი წარმოადგენს ლოგიკური და ასოციაციური აზროვნების ერთგვარ პროდუქტს.

ლოგიკური აზროვნების ფარგლებში აქტივიზირდება ისეთი ოპერაციები, როგორიცაა: განსაზღვრება; შედარება და განსხვავება; ანალიზი; აბსტრაქცირება; განზოგადება; კლასიფიკაცია; კატეგორიზაცია.

ასოციაციური აზროვნების ფარგლებში კი იქმნება ზოგადი ცნებებით დაკავშირებულ იდეათა ჯაჭვი, რომელიც მოიცავს: სხვადასხვა კავშირის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ასოციაციებს; წარსული გამოცდილების გახსენებას; ჩვეულ რეაქციებს და სხვა.

ქსელის ფორმირების პროცესი შეიძლება განვიხილოთ „ურთიერთქმედების რიტუალის“ ერთგვარ ფორმად, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური ცოდნისა და გამოცდილების კოლექტიურ ცოდნათა და გამოცდილებად გარდაქმნის პროცესს.

ქსელის კონტინუუმის კვლევა გულისხმობს „შემთხვევებისა“ და „ინტერპრეტაციების“ ანალიზს ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით. კანონზომიერებები ქსელის ელემენტთა მორგანიზებული ძალაა. სწორედ ეს ძალა გარდაქმნის ქსელის ინდივიდუალურ პლანს ზეინდივიდუალურად.

თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირება მიზნად ისახავს ცოდნის პირამიდის აგებას, რომელიც გულისხმობს ცნებათა იერარქიულ კონსტრუქტს, რომელშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამადლება. ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც პირამიდის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონეებს შორისაც. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას.

სარჩევი

შესავალი-----	5
თავი 1 ანთროპოცენტრიზმი-ახალი პარადიგმა -----	10
1.1. ანთროპოცენტრიზმი, თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმის მაცონსტიტუირებელი საშუალება -----	10
1.2. ანთროპოცენტრიზმი-თანამედროვე ნეათმეცნიერების განვითარების ვექტორი-----	12
1.3. თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები და პარადიგმული თვისებები-----	14
1.4. ახალი პარადიგმა - კვლევის ახალი ვექტორი-----	22
თავი 2 „სამყაროს ხატის მოდელირების კოგნიციისა და კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა-----	27
2.1.“სამყაროს ხატის არსი“-----	27
2.2.“კოგნიციისა და კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა-----	34
თავი 3 კონცეპტუალური სივრცის სეგმენტაციის პრინციპები და კონცეპტუალური ქსელის მარკერები-----	39
3.1.სეგმენტაციის პრინციპები-----	39
3.2.მთლიანობათა ტიპები-----	41
3.3.“კონფლიქტის“ რეპერტუარული ქსელის მარკერები თანამედროვე ინგლისურ ენაში დასკვნა-----	48 100
გამოყენებული ლიტერატურა-----	105

შესავალი

ადამიანს ახასიათებს სწრაფვა, შეიქმნას საკუთარი თავისათვის სამყაროს მარტივი და ცხადი ხატი ადეკვატური მეთოდის გამოყენებით. ამ სწრაფვაში იგულისხმება ადამიანის მცდელობა, შექმნას „ხატი“ და სწორედ მასში ჰპოვოს მყუდროება და თავდაჯერებულობა. სამყაროში ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ადამიანის მიერ:

1. სამყაროს რაციონალიზაცია - სამყაროში არსებულ საფრთხეთა გააზრება;
2. მათი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, საფრთხეთა დაძლევის მექანიზმების ჩამოყალიბება;
3. ადამიანებთან ურთიერთობის პრინციპების შემუშავება.

სამყაროს რაციონალიზაციის გარეშე შეუძლებელია მასში გააზრებული ქმედება.

სამყაროს სტრუქტურირება ქმნის იმ პრიზმას, რომელშიც ადამიანი ხედავს სამყაროსა და საკუთარ თავს. რეალურ სამყაროში არსებულ საგანთა და მოვლენათა სახელებების, სამყაროში მათი ადგილის განსაზღვრის მეშვეობით, ადამიანი „ერგება“ რეალურ სამყაროს. ასე იქმნება სამყაროს ხატი - კონკრეტული ეთნოსის წარმომადგენელთა შეხედულება საკუთარ ყოფიერებაზე.

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა.

თემის აქტუალობა: ენის ფილოსოფიაში „სამყაროს ხატი“ მრავლასახეობრივი და პოლივარიანტულია. იგი ავლენს მრავალრიცხოვან კერძო თვისებებს თითოეული ავტორის კონცეფციის ფარგლებში, რაც გულისხმობს, რომ „სამყაროს ხატის“ ფენომენის ანალიზისას ავტორები არ ეყრდნობიან საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებებს.

ტერმინოლოგიურ დიფუზურობას ემატება ის ფაქტიც, რომ სამყაროს ხატი ჯერ კიდევ არ ქცეულა აქსიომატურ ფენომენად ენათმეცნიერებაში, თუმცა იგი სრული ობიექტურობით შეიძლება ჩაითვალოს ენის თანამედროვე ფილოსოფიის იდეოთნიკური მიმართულების ერთ-ერთ ფუძემდებლურ ფენომენად. თუმცა, სამყაროს ხატის აქსიომატურ ფენომენად აღიარება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პასუხი გაეცეს ორ ყველაზე მნიშვნელოვან შეკითხვას:

1. როგორ უნდა განხორციელდეს თემატურ სივრცეთა სეგმენტაცია იმისათვის, რომ მივიღოთ ადეკვატურად მოდელირებული სამყაროს ხატი?
2. რა მარკერები უზრუნველყოფს თემატურ სივრცეთა ქსელის კოჰერენტულობას?

სწორედ აღნიშნულ კითხვებზე გასაცემი პასუხების მნიშვნელოვნებითაა განპირობებული თემის აქტუალობა.

ნაშრომის მიზანს კი წარმოადგენს თემატურ სივრცეთა სეგმენტაციის პრინციპებისა და თემატურ სივრცეთა მიერ ფორმირებული ქსელის კოჰერენტულობის განმასაღვრელ ფაქტორთა იდენტიფიცირება.

აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელება, როგორცაა:

1. სპეციალური ლიტერატურის მოძიება და ანალიზი;
2. კონცეპტისათვის რელევანტურ ენობრივ ობიექტივატორთა ჯგუფების კონსტრუირება თანამედროვე ინგლისურ ენაში;
3. ენობრივ ობიექტივატორთა ჯგუფების სეგმენტაციის პრინციპების განსაზღვრა;
4. ენობრივ ობიექტივატორთა ჯგუფების კოგნიტურ დიფერენციალურ ნიშანთა გამოვლენა;
5. თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირება და ანალიზი;
6. თემატურ სივრცეთა ქსელის კოჰერენტულობის კრიტერიუმების ჩამოყალიბება;
7. თემატურ სივრცეთა ქსელის ანალიზის შედეგად კონკრეტული თეორიული დასკვნების გამოტანა.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: რამდენადაც მოდელი, რომელიც ყალიბდება პარადიგმათა კვეთაზე, სავარაუდოდ, არ უნდა ეფუძნებოდეს ერთი პარადიგმის (სისტემურ-სემანტიკური ან კოგნიტური პარადიგმის) ფარგლებში გენერირებულ პრინციპებსა და ანალიზის მეთოდს.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება ინტერპრადიგმულობის პრინციპს, რაც გულისხმობს თემატურ სივრცეთა სეგმენტაციას როგორც იმანენტურ, ისე არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებით. იმანენტური მიდგომის ფარგლებში გამოყენებულია ელემენტთა სემანტიკური სტრუქტურის კომპონენტური ანალიზი, ხოლო არაიმანენტური მიდგომის ფარგლებში კი განხორციელებულია ელემენტთა კონცეპტუალური ანალიზი.

ლექსემა ხასიათდება სემანტიკით, კონცეპტი კი - შინაარსით. ლექსემათა სემანტიკა იყოფა სემანტიკურ კომპონენტებად, კონცეპტის შინაარსი კი - კონცეპტუალურ ნიშნებად.

ანალიზი, რომელიც მიმართულია „სიტყვის სემანტიკიდან კონცეპტის შინაარსისაკენ“ იძლევა კონცეპტუალური ნიშნების გამოკვეთის შესაძლებლობას. სიტყვის გამოყენების შესაძლო კონტექსტებში აქტუალიზირებულ სემათა ანალიზის შედეგად გამოვლენილი ნიშნები ქმნიან კონცეპტის შინაარსს.

კვლევის პროცესში წამოჭრილ პრობლემათა მიღმა იკვეთება ერთი ცენტრალური პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ ინტეგრალის სახით, რომელიც მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული განსაზღვრულობის მქონე დიფერენციალებს.

კვლევის პროცესში ნათლად შევხეთ თანამედროვე ლინგვისტიკაში „აუცილებლობად“ დეკლარირებულის განხორციელებისათვის რელევანტური მეთოდოლოგიის არარსებობის ფაქტს.

დიახ, თანამედროვე ლინგვისტიკაში დეკლარირებულია რამდენიმე „აუცილებლობა“:

1. მენტალურ და ენის სტრუქტურათა შორის არსებული მიმართების გამოვლენის აუცილებლობა;
2. ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურებისა და ენის სტრუქტურის “დამაკავშირებელი” რგოლის გამოვლენის აუცილებლობა;
3. ინტერპარადიგმულობის პრინციპის გამოყენების აუცილებლობა.

ჩვენ ვაღიარებთ აღნიშნულ „აუცილებლობათა“ აუცილებლობას, რადგან მიგვაჩინა, რომ მათი პრაქტიკული რეალიზაცია წარმოადგენს არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ, ზოგადად, ჰუმანიტარული აზროვნების ინტერპარადიგმულობის უზრუნველყოფის გზას. ინტერპარადიგმულობის უზრუნველყოფაში ვგულისხმობთ:

1. თემატურ სივრცეთა სემანტაციას როგორც იმანენტურ, ისე არაიმანენტურ მიდგომათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდების სინთეზირებით;
2. თემატურ სივრცეთა ქსელის ინტერპრეტაციას როგორც სისტემურ-სტრუქტურული, ისე ლინგვიკოგნიტური პარადიგმების პერსპექტივიებიდან.

კვლევის პროცესმა ხცადყო, რომ აუცილებელია კონკრეტულისაგან დისტანცირება, რათა კვლევის შედეგები ჩამოყალიბდეს განზოგადებულისა და კანონზომიერის სახით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ლინგვიკოგნიტურ კვლევათა განხორციელებადობა, პრაქტიკული და თეორიული მიზანშეწონილობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვაცნობიერებთ მსგავსათა სხვაობისა და განსხვავებულთა მსგავსების არსს.

მსგავსათა სხვაობასა და განსხვავებულთა მსგავსებაში ვგულისხმობთ:

1. სისტემურ-სტრუქტურულ და კოგნიტურ პარადიგმათა ფარგლებში გენერირებულ სტრუქტურათა მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტს;
2. სემანტიკური და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდთა ფუნქციურ მსგავსება/განსახვავებულობის ფაქტს.

ნაშრომში გამოყენებული მეთოდები შემუშავებულია სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა ფარგლებში. ამრიგად, ნაშრომი ცენტრირებულია ორივე მიმართულებაზე: კვლევისადმი იმანენტური მიდგომის ფარგლებში გამოყენებულია კომპონენტური ანალიზის მეთოდი, ხოლო არაიმანენტური მიდგომის ფარგლებში კი - კონცეპტუალური ანალიზის მეთოდი. იმანენტური მიდგომის ფარგლებში გამოყენებულია სემანტიკური დეკომპოზიციის მეთოდი, ხოლო არაიმანენტური მიდგომის ფარგლებში კი:

1. დეკომპოზიციის იდეაზე დაფუძნებული ანალიზი, რომლის ფარგლებშიც სისტემის თითოეული მოდული წარმოადგენს საერთო კონსტრუქტის უმნიშვნელოვანეს ელემენტს;
2. რანჟირებაზე დაფუძნებულ ანალიზი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება აბსტრაქციის მოწესრიგებულ სისტემებად იერარქიზირება.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს თემატურ სივრცეთა სეგმენტაციის პრინციპების დეტალიზაცია და თემატურ სივრცეთა ქსელის ინტერპრეტაცია როგორც სისტემურ-სტრუქტურული, ისე ანთროპოცენტრისტული პარადიგმების პერსპექტივებიდან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია როგორც კოგნიტური ლინგვისტიკის, ისე სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის სალექციო კურსებისათვის.

თანამედროვე ლინგვისტურ კვლევებში სულ უფრო ცხადი ხდება მენტალურ და ენის სტრუქტურათა შორის არსებული მიმართების გამოვლენის აუცილებლობა. თანამედროვე ლინგვისტიკა არ განიცდის იმ ტიპის ნაშრომთა სიმცირეს, რომელშიც დეკლარირებულია ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურებისა და ენის სტრუქტურის “დამაკავშირებელი” რგოლის გამოვლენის აუცილებლობა. წარმოდგენილ ნაშრომში არა მხოლოდ დეკლარირებულია აღნიშნული რგოლის გამოვლენის აუცილებლობა, არამედ განხორციელებულია კიდევ ის სინთეზი, რომელიც მოიცავს კვლევის განხორციელებადობის, პრაქტიკული და თეორიული მიზანშეწონილობის მოდუსებს.

სწორედ ეს ფაქტი განსაზღვრავს ნაშრომის თეორიულ ღირებულებას, რომლის დეტალიზირებული ვერსია შემდეგნაირად ჟღერს:

1. კონცეპტუალური და სემანტიკური ანალიზის მეთოდთა სინთეზირება იძლევა სისტემათა იერარქიის სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას;
2. რთულ სისტემათა სხვადასხვა პარადიგმების პერსპექტივებიდან კვლევა უზრუნველყოფს მრავალგანზომილებიან ფენომენტთა ადეკვატურ ინტერპრეტაციას.

კვლევის მასალად გამოყენებულია ფრაზეოლოგიური ერთეულები. მასალა მოპოვებულია ინგლისურენოვანი განმარტებითო ლექსიკონებიდან, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიდან, ასევე ბერკლის ფრეიმთა ქსელის მონაცემთა ანალიზის შედეგად. ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალურობა და სამეცნიერო სიახლე. განსაზღვრულია კვლევის მიზნები და დასახული მიზნების მიღწევისათვის საჭირო ამოცანები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

თავი I. ანთროპოცენტრიზმი - ახალი პარადიგმა

1.1. ანთროპოცენტრიზმი - თანამედროვე ლინგვისტური პარადიგმის მაკონსტიტუირებელი საშუალება

ანთროპოცენტრისტული ტენდენცია ყველაზე მასშტაბურია სამეცნიერო სივრცეში, ამასთან სრულიად ცხადია, რომ თვითონ ანთროპოცენტრისტული იდეა, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის შემეცნებით მოღვაწეობასთან, არ შეიძლება

აღმოცენებულიყო მხოლოდ მე-20 საუკუნეში. იგი უკვე დიდი ხანია არსებობს ლინგვისტიკაში (და საერთოდ მეცნიერებაში).

დღეს, ენის ანთროპოცენტრული კვლევა ხორციელდება ენის ყველა სფეროში: გრამატიკაში, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაში, ფონეტიკასა და სემანტიკაში. ენობრივი მოვლენის ყოველმხრივ შესწავლაში ჩართულია სამეცნიერო ცოდნის სხვა მონაცემები, რომლის შედეგადაც ჩნდება ისეთი მომიჯნავე მეცნიერებები, როგორცაა: ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, სოციოლინგვისტიკა, ეკოლინგვისტიკა (Fernandez/ფერნანდესი, 1991).

პირველად ანთროპოცენტრიზმის პრინციპი გვხვდება ჰუმბოლტის ნაშრომებში, რომელთა მიხედვით ენის შესწავლა ადამიანის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე მიუღებელია, რამდენადაც ენას ყოველთვის გააჩნია მხოლოდ იდეალური ყოფიერება. ენისათვის დამახასიათებელია იმანენტური სუბიექტივიზმის თეზისი.

(Humboldt/ჰუმბოლტი, 1985)

მე-20 საუკუნის ლინგვისტიკაში შეიმჩნევა სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის გადახრა ანთროპოცენტრიზმისაკენ. მკვლევრთა ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანი, როგორც ენის მატარებელი, რომელიც ასევე არის კონრეტული კულტურის მატარებელიც. ამ სამეცნიერო პარადიგმის ჩარჩოში წარმოიქმნა ორი საკვლევი მიმართულება: (Daems, Zenner & Heylen/დაემსი, ზენერი & ჰეილენი, 2015)

ლინგვაკულტუროლოგია, რომელიც შეისწავლის ენას კონკრეტული ნაციონალურ-კულტურული მენტალობის ჭრილში;

1. კოგნიტური ლინგვისტიკა, რომელიც იკვლევს ენისა და ცნობიერების ურთიერთკავშირს, ასევე ენის როლს სამყაროს კონცეპტუალიზაციაში.(Jackendoff/ჯეკენდოფი,1983)

თანამედროვე ლინგვისტურ მიმართულებათა მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ენის შესწავლისას ანთროპოცენტრულ იდეაზე კონცენტრირება არის:

1. მეცნიერთა თვითიდენტიფიკაციის საშუალება;
2. კვლევის სამეცნიერო კონტექსტის მონიშვნის ყველაზე ეფექტური წესი;
3. ხდება ანთროპოცენტრიული მიდგომის, როგორც წესის, მხოლოდ დეკლარირება (Hayward/ჰაივარდი ,1997)

ხშირად ტერმინები ანთროპოცენტრული და ანთროპოლოგიური სინონიმებად მოიაზრება. ამკარაა, რომ საქმე გვაქვს ტერმინთა ამორფულობასთან, უფრო ზუსტად კი, ტერმინთა აღრევასთან (Allan/ალანი,1986)

მეორე მხრივ-ტერმინები ანთროპოცენტრიზმი და ანთროპოლოგია წარმოიშვა იმავე სიტყვათწარმოქმნითი მოდელიდან, რაც სისტემოცენტრიზმი და სისტემოცენტრიული. ანთროპოცენტრიზმის არაერთგვაროვანი გაგების მიზეზი დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი განიმარტება სხვადასხვანაირად: „თანამედროვე ლინგვისტიკაში ანთროპოლოგიური პრინციპი იძენს სხვადასხვა ფორმულირებას (Ouimet&Kopina/ოუმეტ&კოპინა, 2015) ლინგვისტურ ანთროპოცენტრიზმზე არსებულ თვალსაზრისთა ანალიზის შედეგად იკვეთება ანთროპოცენტრიზმის ორგვარი აღქმა:

1. ანთროპოცენტრიზმი არის ენის თვისება, მისი სტრუქტურა და შინაარსი;
2. ანთროპოცენტრიზმი წარმოადგენს ენის აღწერისა და მოდელირების ხერხს;

აღნიშნული განმარტებები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, უფრო მეტიც, ორივე მათგანი მიმართულია ენის მრავალგანზომილებიანი ბუნების აღწერის სისრულეზე (Duranti/დურანტი, 2013) მათ შორის არსებული განსახვავება ასოცირდება ონტოლოგიურ და მეთოდოლოგიურ სფეროთა შორის არსებულ განსხვავებასთან.

ანთროპოცენტრიზმის ონტოლოგიური აღქმის სფეროში იკვეთება შემდეგი დებულებები: (Palmer&Woodman/პალმერი&ვუდმენი,1999)

ასახავს რა ობიექტურ სინამდვილეს, ენა გარდაქმნის ადამიანის ინტენციებსა და ფასეულობათა სისტემას სოციალურ და ეროვნულ ერთობად;

1. არის რა ადამიანის კუთვნილება, ენას აქვს ანთროპოლოგიური აგებულება.

ანთროპოცენტრიზმის მეთოდოლოგიური აღქმის სფეროში იკვეთება შემდეგი დებულება:

1. ანთროპოცენტრიზმი წარმოადგენს ენისა და მისი ცალკეული ნაწილების მოდელირების ხერხს.

ლინგვისტური აზროვნების დინამიკაში იკვეთება ორი მიდგომა - ლინგვოცენტრისტული და ანთროპოცენტრისტული.

ლინგვოცენტრისტული მიდგომის ფარგლებში ხდება ენობრივი სისტემისა და მისი კომპონენტების თანმიმდევრობით აღწერა და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ქმედებებთან, როგორცაა დესკრიფცია და კლასიფიკაცია (ჰუმბოლტი,1985)

ანთროპოცენტრული მიდგომა რეალიზდება ენისა და ადამიანის ურთიერთქმედების სფეროს საზღვრებში (Katz/კატზი ,1999)

თანამედროვე ლინგვისტიკაში ჩამოყალიბებულია ლექსიკურ ერთეულთა

ანთროპოცენტრისტული პერსპექტივიდან აღწერისათვის რელევანტური პრინციპები:

1. აღსაწერი ენის ხასიათის გათვალისწინება;

2. ენობრივი მასალის სეგმენტაციაზე ორიენტირება;
3. ენობრივ ერთეულთა ინფორმაციული ინტერპრეტაცია;
4. დიქტომიის ენა-მეტყველების აღწერა;
5. მეტყველების სხვადასხვა სახეების სპეციფიკის აღწერა;
6. ენობრივ და მეტაენობრივ ობიექტებზე კონცენტრაცია;
7. სისტემურ ერთეულთა აღწერა (Casad/კასადი, 1996)

სახეზეა ლექსიკურ ერთეულთა ინტერპრეტაციის ახალი ვერსია, რომელიც ჩვენი კვლევისათვის რელევანტურია კონცეპტუალურ განზომილებათა ლექსიკური ობიექტივიზაციის თვალსაზრისით.

1.2. ანთროპოცენტრიზმი - თანამედროვე ენათმეცნიერების განვითარების ვექტორი ენის თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია ისეთ მიმართულებას, როგორცაა შედარებითი ანთროპოლოგია. ჰუმბოლტი თვლიდა, რომ ენის საშუალებით შეიძლება თვალი გადავაავლოთ სამყაროს მთელ მრავალსახეობას, მრავალფეროვნებას“ (ჰუმბოლტი, 1985)

შეისწავლა რა სხვადასხვა ენები, მკვლევარი ადარებდა ამ ენათა მატარებელი ხალხის ისტორიულ, ანთროპოლოგიურ, ეთნოფსიქიკურ თვისებებს და ავლენდა ამ ენათა განსაკუთრებულობას - მათ დიფერენციალურ მარკერებს.

ჰუმბოლტი თვლის, რომ ენა ეფუძვნება „სულიერ მოქმედებას“. ეს გულისხმობს ურთიერთობას - ადრესანტისა და ადრესატის ქმედებას. გაგება დამოკიდებულია ენის სოციოკულტურულ სპეციფიკაზე - ადამიანთა ინდივიდუალურ აღქმაზე, ენის მატარებელთა ინდივიდუალურ რეპერტუარზე.

ჰუმბოლტის მიხედვით, „ენა არის სამყარო , რომელიც მდებარეობს ადამიანის შინაგან სამყაროსა და რეალურ სამყაროს მოვლენათა შორის. ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ენა ჭეშმარიტი სამყაროა“.(ჰუმბოლტი, 1985)

ენის ანთროპოცენტრისტული თვალსაზრისით განხილვა იძლევა კვლევის არეალში სამყაროს ფილოსოფიური ხატის ცნების შემოტანის შესაძლებლობას. ენისადმი ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს სამყაროს სხვადასხვა ხატების შედარებას სხვადასხვა ხალხის წარმოდგენაში. (ჰუმბოლტი, 1988)

ამრიგად, ანთროპოცენტრიზმი წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის საკვანძო იდეას. აღნიშნული პარადიგმის პერსპექტივიდან ადამიანი შეიცნობს სამყაროს, რაშიც

იგულისხმება შემდეგი: ადამიანი თავის ცნობიერებაში ქმნის ანთროპოცენტრულ ცენტრს, რომელიც განსაზღვრავს მის სულიერ არსს, მის ქმედებათა ინტენციებსა და ფასეულობათა იერარქიას.

სწორედ ანთროპოცენტრული პარადიგმის ჩამოყალიბებამ ახსნა პრობლემა, რომელიც უკავშირდებოდა ადამიანის ყოფასა და მის ადგილს კულტურაში. როგორც უკვე ზემოთ ავლინებთ ანთროპოცენტრული პარადიგმის პროდუქტი ლინგვისტიკაში არის ლინგვოკულტუროლოგია. დღეს უკვე შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ ლინგვოკულტუროლოგია არის ახალი ფილოლოგიური დისცილინა, რომელიც იკვლევს კულტურულ ღირებულებათა თანარსებობას, ადამიანის გამოცდილებასა და მენტალიტეტს. აღნიშნული კი ხდება მსოფლიოს ენობრივ ხატთა სისტემური აღწერის მეშვეობით (Spradley, James & McCurdy/სფრედლი, ჯეიმსი & მაკკარდი, 1975) ანთროპოცენტრიზმის ფუნქციონირების შედეგს წარმოადგენს ასევე კოგნიტური ლინგვისტიკა, რომელიც „სწავლობს ენას, როგორც კოგნიტურ მექანიზმს. კოგნიტური მექანიზმი კი გადაწყვეტ როლს თამაშობს ინფრომაციის კოდირებისა და ტრანსფორმირების პროცესში (Курякова/კუბრიაკოვა, 1995)

კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს:

1. ენისა და ცნობიერების თანაფარდობის პრობლემებს;
2. ენის როლს სამყაროს კონცეპტუალიზაციაში და კატეგორიზაციაში;
3. ადამიანური გამოცდილების განზოგადოების პროცესის თავისებურებას;
4. ადამიანის ცალკეული კოგნიტური უნარის კავშირს ენასთან. (Burling/ბელინგი, 1964)

კოგნიტური ლინგვისტიკა იმ დისციპლინებთან ერთად, რომლებიც ერთობლივად წარმოადგენენ კოგნიტოლოგიას (პირველ რიგში უნდა ვიგულისხმოთ კოგნიტური ფსიქოლოგია და კოგნიტური სოციოლოგია) ცდილობს, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვას: როგორ არის ორგანიზებული ადამიანის ცნობიერება და როგორ შეიცნობს ადამიანი სამყაროს?

კოგნიტოლოგიის ორ სივრცეში - ლინგვოკულტუროლოგიასა და კოგნიტურ ლინგვისტიკაში - ფიქსირდება სხვადასხვა ტიპის კითხვები. ლინგვოკულტუროლოგია და კოგნიტური ლინგვისტიკა ცდილობს, პასუხი გასცეს შემდეგ შეკითხვებს:

1. როგორ წარმოუდგენია ადამიანს სამყარო?
2. როგორია მეტაფორისა და სიმბოლოს როლი კულტურაში?

3. როგორია ფრაზეოლოგიზმთა როლი და რატომ ხდება, რომ ისინი საუკუნეების განმავლობაში ინარჩუნებენ თავის ადგილს კულტურაში?
4. რითი ხასიათდება კოგნიცია? (Dirven&Verspoor/დირვენი&ვერსპური, 1998)

ორივე სივრცის უმნიშვნელოვანეს ინტეგრალს წარმოადგენს კონცეპტი, რომელიც წარმოადგენს კულტურის შენაერთს ადამიანის ცნობიერებაში. აღნიშნულ განმარტებაში იკვეთება ორი დებულება:

1. კულტურა აღწევს ადამიანის მენტალურ სამყაროში;
2. კონცეპტი მეშვეობით ადამიანი თვითონ შედის კულტურაში და ზოგჯერ გავლენას ახდენს მასზე.

ენის კონცეპტუალური სფეროს ცოდნა იძლევა ხალხის მენტალური სამყაროს განსაკუთრებულობის გამოვლენის შესაძლებლობას.

1.3. თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები და პარადიგმული თვისებები

მეცნიერება ენის შესახებ მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის: სულ უფრო აქტუალური ხდება ანთროპოცენტრული კვლევა.

ანთროპოლოგიური პრინციპი იქცა საბაზისო მეთოდოლოგიად. ენაში „ადამიანური ფაქტორის“ კვლევამ განსაზღვრა მნიშვნელოვან ლინგვისტურ ნაშრომთა თემატური სივრცის თავისებურება (Globerson&Zelniker/გლობერსონი, ზელნიკერი, 1989)

ბევრ ნაშრომში ანთროპოცენტრიზმი განიხილება, უპირველეს ყოვლისა, როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის მეთოდოლოგიური ბაზა და, უფრო მეტიც, განიხილება როგორც თანამედროვე სამეცნიერო პარადიგმის მეთოდოლოგიური ბაზა, რომელიც თავს იჩენს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა სააზროვნო სივრცეში (Casad/კასადი, 1996) „შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ანთროპოცენტრიზმი ლინგვისტიკის ძირითად პარადიგმად, თუ ენის თანამედროვე კვლევა ატარებს არაპარადიგმალურ ხასიათს?“ - ეს შეკითხვა ბევრ ნაშრომში ჩნდება. კითხვაზე პასუხის გასაცემად მკვლევარები მიმართავენ პარადიგმის ცნებას და განიხილავენ იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია მისი გამოყენება ენის შესახებ თანამედროვე მეცნიერების მდგომარეობის აღსაწერად.

(Daems,Zenner&Heylen/დაემსი, ზენერი, ჰეილენი 2015)

დღეს ტერმინი „პარადიგმა“ აქტიურად გამოიყენება როგორც თანამედროვე ლინგვისტიკის დესკრიპტორი და როგორც მეთოდოლოგიური ორიენტაცია. ცხადია,

რომ ანთროპოცენტრიზმი სრულიად შეესაბამება აღნიშნულ სტატუსს იმ პირობით, თუ ანთროპოცენტრიზმი გააზრებული იქნება მეთოდოლოგიური და არა ონტოლოგიური თავალსაზრისით. ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს ამ მოსაზრებას. (Romero/რომერო-2014)

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: ენის კვლევის რომელ ასპექტებს აერთიანებს თავის თავში ანთროპოცენტრისტული პარადიგმა?

ანთროპოცენტრიზმის, როგორც მეცნიერული მეტაპარადიგმის, განხილვა თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთი მთავარი პარამეტრია. მკვლევართა მოსაზრებები განსხვავებულია იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი ასპექტები აერთიანებს ანთროპოცენტრისტულ ლინგვისტიკას. კუბრიაკოვა ანთროპოცენტრულ მიმართულებას ლინგვისტიკაში აკავშირებს ენის კოგნიტურ და კომუნიკაციურ კვლევასთან (კუბრიაკოვა). მასლოვა ანთროპოცენტრიზმის ძირითად მიმართულებებად ასახელებს კოგნიტურ ლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიას. (Маслова/მასლოვა, 2001).

საერთო ჯამში, თანამედროვე ანთროპოცენტრულ პარადიგმის ფარგლებში

განხორციელებულ კვლევებში იკვეთება შემდეგი მიმართულებები:

1. სამყაროს ენისმიერი ხატის კვლევა;
2. კომუნიკაციური ლინგვისტიკა;
3. კოგნიტური ლინგვისტიკა;
4. ლინგვოკულტუროლოგია.

აქედან გამომდინარე, ანთროპოცენტრული ლინგვისტიკის დიაპაზონი ფართოა. მასში ჩართულია ყველა ის მიმართულება, რომლის მიზანიც ადამიანის ენაში და ენის ადამიანში შესწავლა და აღწერაა. (Bedell/ბედელი, 1974)

ჩნდება კითხვა: შესაძლებელია თუ არა სისტემურობისა და ანთროპოცენტრიზმის სინთეზი არა მხოლოდ თეორიულ-მეთოდოლოგიურ, არამედ კონკრეტული კვლევის დონეზე? - პასუხი შემდეგია: ეს სრულებით შესაძლებელია, თუ ადეკვატურად იქნება ინტერპრეტირებული ლინგვოკოგნიტური მიდგომის ინტერდისციპლინარულობა (Wierzbicka/ვიეზბინა, 1992)

კოგნიტური მეცნიერება შეისწავლის ადამიანის გონებასა და აზროვნებას. აღნიშნული კი გულისხმობს:

1. ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნების თავისებურებათა განსაზღვრას;
2. აზროვნების მექანიზმებისა და ადამიანის კოგნიტურ შესაძლებლობათა იდენტიფიცირებას;

3. სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის სპეციფიკის კვლევას;
4. სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის თავისებურებათა გამოვლენას. (Gonzalez-Marquez, Coulson & Spivey/გონსალეს-მარკეზი, კოულსონი & სპივი, 2006)

აღნიშნული წარმოადგენს შემდეგი დებულების დეტალიზებულ ვერსიას: ენა ცოდნის საუკეთესო ფანჯარაა, ენა ექვმდებარება ანალიზს და გვაძლევს ცოდნის ანალიზის შესაძლებლობას (Croft & Cruse/კროფტი & კრუზი, 2000)

რადგანაც ენა არის მხოლოდ ადამიანის კოგნიტური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მისი ადეკვატური აღწერისთვის აუცილებელია ინფორმაციის სხვა სფეროებიდან მოპოვება. ეს ტენდენცია წინ წამოწია ბოდუენ დე კურტენემ. მისი თქმით „ენობრივი განზოგადება დაიპყრობს სულ უფრო ფართო სფეროებს და ენათმეცნიერება დაუკავშირდება ისეთ მეცნიერებებს, როგორცაა ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია, სოციოლოგია, ბიოლოგია. ეს გამოკვლევა დიდ ზეგავლენას მოახდენს ფსიქოლოგიაზე და მისცემს მეცნიერებას მონაცემთა განზოგადებისა და დასკვნის ჩამოყალიბების სრულიად ახალ შესაძლებლობებს“. (Бодуэн де Куртене/ბოდუენ დე კურტენე, 1963)

დღეს ლინგვისტიკა ფლობს ბევრ ახალ მონაცემსა და შემეცნების პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელსაც ძალუმს სხვა დისციპლინათა (ფსიქოლოგია, ნეირომეცნიერება) სააზროვნო სივრცის გამდიდრება. აღნიშნულში ვგულისხმობთ ისეთ შესაძლებლობებს, როგორცაა:

1. სამყაროს კონცეპტუალური ხატის კანონზომიერებათა იდენტიფიცირება;
2. შემეცნების კონცეპტუალური სისტემის თავისებურებათა გამოვლენა (Günter/გიუნტერი, 1992)
3. დისკურსისა და საკომუნიკაციო სიტუაციის შეზღუდვების დადგენა. (Gardiner/გარდინერი 1985)

ამრიგად, ენისადმი კოგნიტური მიდგომა განიხილება როგორც ლინგვისტური მოვლენისა და პროცესის, ერთეულებისა და კატეგორიების კავშირი სხვა კოგნიტურ პროცესებთან - აღქმასა და წარმოსახვასთან, მეხსიერებასა და ემოციასთან. სწორედ აღნიშნულ კავშირებში ვლინდება კოგნიტური მიდგომის ინტერდისციპლინარული ხასიათი, რომელიც, თავის მხრივ, იძლევა ისეთ შესაძლებლობათა რეალიზაციის შესაძლებლობას, როგორცაა:

1. ენასთან დაკავშირებულ მონაცემთა ფართო სპექტრში განხილვა;

2. ადამიანის გონებას, ინტელექტსა და ქცევას შორის არსებულ მიმართებათა გამოვლენა (Tomasello/ტომასელო, 1998)

ენობრივი მასალის განხილვის ინტერდისციპლინარული საფუძვლების ცოდნამ შეუცვალა სახე თანამედროვე მეცნიერებას ენის შესახებ (D'Andrade/დ'ანდრადე 1985) კოგნიტური სტრუქტურის ადეკვატური აღქმის ადეკვატურობას უზრუნველყოფს ემოციური, ისტორიული და კულტურული ფაქტორების გათვალისწინება, რადგანაც აზროვნების თავისებურებათა გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ პროცესის მიმდინარეობის გააზრების შედეგად (Lee/ლიი, 2002).

ენა წარმოადგენს კოგნიტური საქმიანობის ინსტრუმენტსა და ადამიანის გონებაში მენტალური პროცესის განხორციელების საშუალებას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა სტრუქტურათა მნიშვნელობების ფიქსაციასა და დაცვას მენტალურ ლექსიკონში. (Evans/ევანსი, 2013)

ენამ, როგორც ფუნქციონალურ ნიშანთა სისტემამ პირველ ადგილზე დააყენა საკითხი იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ენის ცოდნა. აუცილებელი ხდება ადამიანის კოგნიტური მოქმედების მექანიზმების და პროცესის გამოკვლევა, რომლის შედეგადაც ხდება ცოდნის ფორმირება და რეპრეზენტაცია (Barsalou/ბარსელოუ 1992).

კოგნიტურ ინფორმაციაზე საუბრისას, ჩვენ ვგულისხმობთ:

1. ინფორმაციას რომელიც იბადება სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესში;
2. ყველა იმ მონაცემს, რომელიც ადამიანს მიეწოდება სხვადასხვა მგრძნობელობითი თუ სენსორული არხებით;
3. იმ მონაცემებს, რომლებიც უკვე გადამუშავებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, ინტერპრეტირებულია ადამიანის მიერ და წარმოდგენილია გონებაში მენტალური რეპრეზენტაციების ფორმით.

უკვე მეხსიერებაში არსებული კოგნიტური სტრუქტურები ასახავენ გარე სამყაროს, ხოლო კვლევის პროცესში კონსტრუირებული მოდელები, თავის მხრივ, ასახავს მენტალურ სამყაროს. კოგნიტური ლინგვისტიკის მიხედვით, ადამიანის ცნობიერებაში შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა კოგნიტური სტრუქტურა და პროცესი: (Lakoff/ლაკოფი, 1987)

1. ფრეიმები და სცენარები;
2. პროპოზიციული მოდელები;
3. კატეგორიზაციის მოდელები;
4. მენტალური სივრცის ცნება;
5. მენტალური ლექსიკონი.

მენტალური სივრცის თეორია წარმოადგენს კოგნიტური ლინგვისტიკის განვითარების ახალ ეტაპს, რომლის ღირებულებასაც განსაზღვრავს შემდეგი დებულებები:
 ადამიანის ინტელექტის მეშვეობით სტრუქტურირდება განსხვავებული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტებისა და როლების მიმართება;
 მენტალურ სივრცეს ზოგჯერ ცვლის არსებული სამყარო და სიტუაცია, რადგანაც „კონკრეტული ტექსტიდან აღებული სიტუაცია გამოხატავს ჰიპოთეტური სიტუაციების ადამიანურ აღქმას, ადამიანის უნარს, შექმნას სამყაროს მოდელი (Fauconnier/ფოკონიერი, 1998)

მენტალური სივრცე ხასიათდება შემდეგი თვისებებით:

1. იგი მოიცავს მენტალური რეპრეზენტაციის სხვადასხვა ტიპს;
2. იგი სტრუქტურირდება კოგნიტური მოდელების მეშვეობით;
3. მთლიანდება კონცეპტუალური ინტეგრაციის - კონცეპტუალურ შერწყმის მეშვეობით (Брунер/ბრუნერი, 1977)

მენტალური რესურსის ძირითად ერთეულად მიჩნეულია კონცეპტი, რომელიც წარმოადგენს მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და აზროვნების შემადგენელ ერთეულს. მას ახასიათებს დამოუკიდებელი არსებობის უნარი და სიცხადე (Devitt/დევიტი, 1990)

ადამიანის შემეცნების პროცესი წარმოადგენს ობიექტის შესახებ ცოდნის ჩამოყალიბების პროცესს. ეს ინფორმაცია ეხება სამყაროში არსებული ობიექტების მდგომარეობას, სწორედ ეს არის ის, რაც განისაზღვრება „მნიშვნელობად“ ან „კონცეპტად“.

(Демьянков/დემიანკოვი, 2001)

ჩვენ ვსაუბრობთ კონცეპტებზე მაშინ, როცა საჭიროა აზროვნების პროცესის ერთეულების დახასიათება. შესაბამისად, შემეცნების სტრუქტურის პროცესს, რომლის შედეგადაც წარმოიქმნება ცნებები ეწოდება კონცეპტუალიზაცია. კონცეპტუალური პროცესის მიზანი არის ადამიანური გამოცდილების მინიმალური ერთეულების გამოყოფა.

ცნებები ერთიანდება კონცეპტუალურ სისტემაში (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამყაროს კონცეპტუალურ ხატში, სამყაროს მოდელში), რადგანაც საერთო ცოდნა არ არის ამორფული, იგი ჩამოყალიბებულია კონცეპტუალურ სისტემაში.

(Langacker/ლანგაკერი, 1967)

კონცეპტუალური სისტემა აღწერა პავილენისმა თავის ნაშრომში, სადაც კონცეპტუალური სისტემა განხილულია ცოდნისა და აზრის სისტემად, რომელიც გამოხატავს ადამიანის შემეცნებით გამოცდილებას (Павиленис/პავილენისი, 1983).

ამასთან, სამყაროს შესახებ ახალი ინფორმაციის ათვისება ხდება ინვიდის მიერ იმაზე დაყრდნობით, რაც მას გააჩნია. სწორედ ამ გზით ჩამოყალიბებული სისტემა წარმოადგენს კონცეპტუალურ სისტემას, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას უქმნის ადამიანს სამყაროს შესახებ.

კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს სამყაროს ხატსა და ენას შორის არსებულ მიმართებას, შეისწავლის ენის მეშვეობით შინაარსის ფიქსაციის ხერხებს, სხვა სიტყვებით, შეისწავლის სამყაროს ენისმიერ ხატს, რომელიც იგება კონცეპტუალური სამყაროს ხატზე დაყრდნობით. „სამყაროს ხატი, როგორც ობიექტური რეალობის სუბიექტური გამოსახულება, აისახება ნიშანთა ფორმაში. (Holmes/ჰოლმსი, 1967)

კატეგორიისა და კატეგორიზაციის ცნება ძირითადია ადამიანის მოღვაწეობაში. იგი კოგნიტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი გასაღებია. ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიცირება - მათი განაწილება სხვადასხვა კლასის, ასპექტის, ხარისხის და კატეგორიის მიხედვით - მოწმობს იმას, რომ სამყაროს აღქმის პროცესში ადამიანი აყალიბებს დასკვნებს ობიექტთა მსგავსება/განსხვავებულობის თაობაზე. კატეგორიზაცია წარმოადგენს სამყაროს მოწესრიგების, მოვლენებისა და ობიექტების სისტემატიზაციის ძირითად საშუალებას. კონცეპტუალიზაციის პროცესისგან განსხვავებით, კატეგორიზაციის პროცესი მიმართულია გასხვავებული ერთეულების გაერთიანებისაკენ უფრო დიდ ჯგუფში. (Kearney/კერნი, 1975)

ამდენად, კატეგორიზაცია ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი დესკრიპტორია, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ კოგნიტურ შესაძლებლობებსა და სისტემებთან, არამედ აზროვნების პროცესში განხორციელებულ ისეთ ქმედებებთან, როგორცაა: შედარება, გაიგივება და მსგავსების დადგენა. (Allan/ალანი, 1986).

თუ კატეგორიზაციის პროცესს ჩავთვლით ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახეობად, მაშინ ლინგვისტურ კვლევათა ვექტორებად უნდა განვიხილოთ:

1. ამა თუ იმ მოვლენის სისტემაში ფუნქციონირების სპეციფიკის ანალიზი;
2. სისტემაში მოვლენათა შორის არსებულ მიმართებათა ტიპების განხილვა;
3. მოვლენათა მსგავსება/განსხვავებულობის იდენტიფიცირების მექანიზმთა განსაზღვრა. (ჯაკენდოფი, 1990)

ენა წარმოადგენს საყაროს კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს. ენა უზრუნველყოფს ყველა კონცეპტებთან ხელმისაწვდომობას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხდება მათი ჩამოყალიბება, ამასთანავე თავად ენა

რჩება ადამიანის აღქმა/აზროვნებაში კონცეპტების ჩამოყალიბების ერთ-ერთ საშუალებად. (Jackendoff/ჯაკენდოფი, 1992)

კლასებისა და კატეგორიების ფორმირების საფუძველს კონცეპტები წარმოადგენს. მათი მეშვეობით დაკვირვებისა და აზროვნების შედეგად მიღებული მრავალფეროვნება ერთ კონკრეტულ ჩარჩოში ექცევა, შემდეგ კი ხდება მათი განაწილება კონკრეტულ კლასებსა და კატეგორიებში, საბოლოოდ კი ეს იძლევა სხვადასხვა საგნების

სხვაობა/მრავალფეროვნების ერთი კონკრეტული კატეგორიის ელემენტამდე დაყვანის შესაძლებლობას. (Dunn,Cahill, Dukes&Ginsberg/დანი,ჟაილი,დიუკსი&გინსბერგი, 1986).

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ენის თაობაზე არსებულ თვალსაზრისთა მრავალფეროვნება. ამ მრავალფეროვნებიდან ჩვენი კვლევისათვის რელევანტური აღმოჩნდა ისეთი მარკერები, როგორცაა:

ანთროპოცენტრიზმი, ექსპანსიონიზმი და ფუნქციონალიზმი. (Gaines/გაინესი1997)

ექსპანსიონიზმი დაკავშირებულია ლინგვისტიკის საზღვრების გაფართოების ტენდენციასთან, რაც გულისხმობს ობიექტის კვლევის ახალ მიდგომათა ძიებას.

ლინგვისტიკაში ექსპანსიონიზმის ფუნქციონირების შედეგს წარმოადგენს ისეთ მიმართულებათა ჩამოყალიბება, როგორცაა: ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, ფსიქოსემანტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა და ა.შ.

(Lakoff&Johnson/ლაკოფი&ჯონსონი 1980)

ექსპანსიონიზმი მჭიდრო კავშირშია ანთროპოცენტრიზმთან, ფუნქციონალიზმსა და ექსპლანატორულობასთან, რაც გულისხმობს ენობრივი ფენომენის განსაზღვრებისაკენ სწრაფვას (Tomasello&Call/ტომასელო&ქოლი, 1997)

ანთროპოცენტრიზმის, როგორც კვლევის პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ენობრივი ფენომენი შეისწავლება ადამიანური ფაქტორის გათვალისწინებით.

ანთროპოცენტრიზმი აყენებს ადამიანს მეცნიერული კვლევის ყველა თეორიული წინამძღვრის სათავეში. ანთროპოლოგიური პრინციპი განიხილება, როგორც

მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელსაც ეყრდნობა ენის ახალი საერთო თეორია:

„დღეს მეცნიერება ენის შესახებ საკმოდ რთულია დასახასიათებლად. ეს არის შემეცნების სხვადასხვა სფეროთა კონგლომერატი ანალიზის საკუთარი ობიექტებით (კუბრიაკოვა, 1995)

ანთროპოცენტრიზმი მკვლევარს უსახავს ახალ ამოცანებს, მოითხოვს აღწერის ახალ მეთოდებსა და ახლებურ მიდგომებს კატეგორიზაციისადმი

(Lehrer&Kittay/ლერერი&კიტა, 1992)

რაც შეეხება ფუნქციონალიზმს, მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი იაკობსონი მას შემდეგნაირად განმარტავს: ენის სტრუქტურული თვისებები აიხსნება იმ ფუნქციათა ფონზე, რომლებიც იკვეთება პროცესში (იაკობსონი, 1995). ენობრივი მოვლენებისადმი ფუნქციონალური მიდგომის თანახმად, ყურადღება ექცევა ობიექტის ფუნქციების შესწავლას, სათავეში ექცევა ენის დანიშნულების საკითხი. ენა არის ინსტრუმენტი, იარაღი, ინტენციათა რეალიზაციის საშუალება სინამდვილის შეცნობის სფეროსა და ინტერაქციაში (კუბრიაკოვა, 1995)

ლინგვისტური ანთროპოცენტრიზმის ფუძემდებლური თეზისი შემდეგნაირად ჟღერს: სამყარო არის ფაქტების და არა ნივთების ერთობლიობა, კვლევვა კი ცენტრირებულია ენის მატარებელზე. ეს კი ნიშნავს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა ცდილობს, გადალახოს საკუთარი საზღვრები - გასცდეს საკუთარ თავს. ანთროპოცენტრიზმი არის რეაქცია იმაზე, რაც სტრუქტურალიზმმა ვერ მოასწრო. სწორედ ანთროპოცენტრიზმს გამოჰყავს ადამიანი წინა პლანზე. ენობრივ მოვლენათა ადამიანური პრიზმით ხედვა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის უმნიშვნელოვანეს მარკერად.

1.4. ახალი პარადიგმა - კვლევის ახალი ვექტორი

ენაში აისახება ადამიანის შემეცნებითი (სოციალური და ინდივიდუალური) მოღვაწეობის მთელი მრავალფეროვნება. მრავალფეროვნება გულისხმობს სამყაროში არსებულ ფენომენტთა და პირობათა სხვადასხვაგვარობას. ადამიანის შემეცნებითი მოღვაწეობა კი ასოცირდება ადამიანის უნართან, შეარჩიოს ფენომენტთა და პირობათა მრავალფეროვნებიდან დროისა და ადგილის თვალსაზრისით რელევანტური ერთეული. სწორედ აღნიშნული უნარი ვლინდება ენაში. (დემიანკოვა, 1992)

შერჩევის პროცესი გულისხმობს კლასებისა და კატეგორიების ფორმირებას, კლასებისა და კატეგორიების ფორმირების საფუძველს კი წარმოადგენს კონცეპტები. სწორედ მათი მეშვეობით დაკვირვებისა და აზროვნების შედეგად ექცევა მიღებული მრავალფეროვნება ერთ კონკრეტულ ჩარჩოში; შემდგომ კი ხდება ერთეულთა გადანაწილება კონრეტულ კლასებსა და კატეგორიებში. სწორედ აღნიშნული პროცესი იძლევა ერთმანეთისაგან განსხვავებულ საგანთა ერთი კონკრეტული კატეგორიის ელემენტად განხილვის შესაძლებლობას. (Weisgerber/ვაისგერბერი, 1959)

ენა არის საყაროს კონცეპტუალიზაციის და კატეგორიზაციის არსებობის აღქმის ერთერთი მთავარი ინსტრუმენტი. ენა უზრუნველყოფს ყველა კონცეპტებთან

ხელმისაწვდომობას, მიუხედავად იმისა თუ რა ფორმით ხდება მათი ჩამოყალიბება, ამასთანავე თავად (ენა) რჩება ერთ-ერთ შესაძლებლობად, რომ ჩამოვაცალიბოთ კონცეპტები ადამიანის აღქმაში/აზროვნებაში. (Bloomfield/ბლუმფილდი, 1939)

კონცეპტუალური სისტემის შექმნის მექანიზმი და ენის როლი კონცეპტუალური სისტემის ფუნქციონირების პროცესში ასოცირდება იმ ანალიზთან, რომელიც წარმოადგენს სამყაროს ენისმიერი ხატის ლოგიკურ-ფილოსოფიური პოზიციიდან კვლევას. აღნიშნული პოზიციის კონტექსტში კონცეპტუალური სისტემა განიხილება ვერსიების, ცოდნისა და ინფორმაციის სისტემას, რომელიც ღია და დინამიურია. (Castaneda/კასტანედა, 1989)

კონცეპტუალური სისტემა ასახავს ენის მატარებლის შემეცნებით გამოცდილებას, როგორც ენობრივს, ისე ენობრივამდელ ეტაპზე. ჯერ კიდევ ენობრივამდელ ეტაპზე ადამიანი ეცნობა სამყაროს, შეიმეცნებს მას:

1. ადამიანი ფლობს გარკვეულ ინფორმაციას სამყაროს შესახებ;
2. ადამიანი ანსხვავებს და აიგივებს ობიექტებს.

სამყაროს შესახებ ნებისმიერი ახალი ინფორმაციის გათავისება ყოველი ინდივიდის მიერ ხდება იმ ინფორმაციის ბაზაზე, რომელიც მას უკვე გააჩნია. ამგვარად წარმოქმნილი ინფორმაციის სისტემა წარმოადგენს სწორედ კონცეპტუალურ სისტემას.

კონცეპტუალური სისტემის ძირითადი თავისებურება მისი კონტინუალობა და თანამიმდევრულობაა. (Huttar/ჰუტარი 1977)

კონცეპტუალური სისტემის არსის კვლევა შეუძლებელია ენობრივი მოღვაწეობის არსის ანალიზის გარეშე, ვინაიდან სწორედ ენის მეშვეობით არის შესაძლებელი კონცეპტუალური სისტემის შინაარსის რეპრეზენტაცია. აქედან გამომდინარე, ენობრივი მოღვაწეობა უნდა განვიხილოთ აზრს, ენასა და სამყაროს შორის არსებულ მიმართებათა კონტექსტში. გაგების პროცესი, წარმოადგენს მნიშვნელობების ან კონცეპტების წარმოქმნის პროცესს, ამასთან, ენის გაგების პრობლემას არ აქვს აზრი სამყაროს გაგების პრობლემის გარეშე. გაგების პრობლემა ასოცირდება აღქმის პრობლემასთან - აღქმა ეფუძნება ობიექტის, პერცეპტიულ და კონცეპტუალურ გამოყოფას სხვა ობიექტებისაგან ამ ობიექტისთვის განსაზღვრული მარკერების მინიჭების გზით. (Osika/ოსიკა, 1995)

კონცეპტუალიზაცია და კატეგორიზაცია ადამიანის აზროვნების, სამყაროს აღქმის, საფუძველს წარმოადგენს. ადამიანის არსებობა გულისხმობს არსებული რეალობის კანონზომიერებების აქტიურ კვლევას. სამყაროს შეცნობა, სამყაროს მოდელის კონსტრუირება სამყაროში ადეკვატური ორიენტაციის აუცილებელი პირობაა.

შემეცნება ფილოსოფიური პრობლემაა. იგი სამყაროს წვდომის პროცესია, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს: (Arbib/ არბიბი, 1985)

1. ადამიანის მიერ სამყაროს შესახებ არსებული ინფორმაციის დამუშავებას;
2. სხვადასხვაგვარი სიგნალების დიფერენცირებას კოგნიტური კატეგორიების მიხედვით.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რას ეყრდნობა ადამიანი აღნიშნულ პროცესებში? - ადამიანი ეყრდნობა მოცემულ ლინგვოკულტურაში მიღებულ (ჩამოყალიბებულ) ნიშნებს - სიგნიფიკატებს. სიგნიფიკატი წარმოადგენს ნიშნის კონცეპტუალურ შინაარსს.

სიგნიფიკატი შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული საგნის შესახებ. მაშ ასე, სამყაროს შემეცნების პროცესში ადამიანი ხელმძღვანელობს საკუთარ კულტურასა და ენაში მიღებული ნიშნებით -სიგნიფიკატებით.

თანამედროვე ლინგვისტიკა მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის: ენის სისტემის სხვადასხვა პერსპექტივიდან კვლევამ ლინგვისტიკა მიმართა ადამიანისაკენ, როგორც შემოქმედებითი სუბიექტისაკენ. ეს კი ნიშნავს, რომ ლინგვისტური კვლევა გულისხმობს ანთროპოცენტრისტულ კვლევას. (Anderson/ანდერსონი, 1996)

დღეს ენის ანთროპოცენტრისტული კვლევა ვრცელდება ენის ყველა სფეროზე:

გრამატიკაზე, ლექსიკოლოგიასა და ლექსიკოგრაფიაზე, ფონეტიკასა და სემანტიკაზე. ენობრივ მოვლენათა ჩართულია სხვადასხვა სააზროვნო სივრცეთა მონაცემები. შედეგად კი, ჩნდება ისეთი მომიჯნავე სააზროვნო სივრცეები, როგორიცაა: ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, სოციოლინგვისტიკა, ეკოლინგვისტიკა. (გრედი/ოუკლი/ქოლსონი, 1999)

როგორ იქცა ანთროპოცენტრიზმი თანამედროვე ლინგვისტიკის დომინანტურ ვექტორად? - სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმამ დაკარგა თავისი დომინანტური სტატუსი და ლინგვისტური კვლევის ვექტორი გადაიხარა ანთროპოცენტრიზმისაკენ. ლინგვისტთა ყურადღების ცენტრში მოექცა ადამიანი, როგორც კონკრეტული ენისა და კულტურის მატარებელი. ანთროპოცენტრისტული პერსპექტივის წიაღში წარმოიქმნა ორი მიმართულება:

1. ლინგვაკულტუროლოგია, რომელიც შეისწავლის ენას კონრეტული ნაციონალურ-კულტურული მარკერით დეტერმინირებული მენტალობის ჭრილში; (Duranti/დურანტი, 2013)
2. კოგნიტური ლინგვისტიკა, რომელიც იკვლევს ენისა და ცნობიერების ურთიერთკავშირს, ასევე ენის როლს სამყაროს კონცეპტუალიზაციაში.

რამდენადაც, ენა არსებობს მხოლოდ ინდივიდის ტვინში, სულში, ფსიქიკასა და მოცემული ენის საზოგადოებაში, ანთროპოცენტრისტული პერსპექტივა გულისხმობს ენის კვლევას ადამიანში და ადამიანის კვლევას ენაში. ანთროპოცენტრისტულმა პერსპექტივამ ცხადყო კვლევის ახალი მეთოდებისა და კატეგორიების ანალიზის ახალ მიდგომათა შემუშავების აუცილებლობა. (დემიანკოვი, 1989)

დღეს უკვე თამამად შეიძლება, ითქვას, რომ ლინგვისტური კვლევის ანთროპოცენტრული ბუნების მანიფესტირება წარმოადგენს მეცნიერთა თვითიდენტიფიკაციის საშუალებასა და კვლევის სამეცნიერო კონტექსტის მონიშვნის ეფექტურ წესს. (დემიანკოვი, 1994)

რას გულისხმობს ლექსიკური დონის ერთეულების ანთროპოცენტრიული ინტერპრეტაცია? - აქ ინტერპრეტაცია გულისხმობს როგორც ლექსიკური დონის ობიექტების, ისე მთლიანი ლექსიკური სისტემის მოდელირებას. მოდელის აგების პროცესი გულისხმობს ობიექტების ხარისხობრივი გარდაქმნის პროცესს, რომელიც ეფუძნება ენობრივი და მეტაენობრივი ობიექტების ველში ინტეგრირებულობის იდეას. ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაში ადამიანი და ენა ერთ განუყოფელ ნაწილად გვევლინება, სადაც ენის მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სამყაროს შესახებ ცოდნის თავმოყრა ლექსიკურ-სემანტიკური ერთეულების გამოყენებით.

(Erickson&Murphy/ერიქსონი&მერფი 2003)

ენა ნააზრევს გადაცემის საშუალებაა. ენა „ფუთავს“ ნააზრევს ენობრივ სტრუქტურაში. ცოდნა, რომელიც ამ დროს გამოიყენება, არ წარმოადგენს ცოდნას მხოლოდ ენის შესახებ. ეს ასევე გახლავთ ცოდნა სამყაროს, სოციალური კონტექსტის, მეტყველების პრინციპებისა და ადრესატის შესახებ.

განსხვავებით სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმისაგან, რომელიც კონცეპტირებულია სისტემების არსისა და სისტემის ორგანიზირების პრობლემაზე, ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფარგლებში კვლევის ვექტორი მიმართულია იმ მთლიანობაზე, რომელიც წარმოდგენილია ენისა და მისი მატარებლის ინტეგრალურობით.

აღნიშნული მიდგომა ცხადყოფს, რომ სულ უფრო ფართოვდება ლინგვისტური კვლევის არეალი. ლინგვისტთა ინტერესი მიმართულია ენის, კულტურისა და ცნობიერების კვლევაზე, ასევე სამყაროს ახალი კოგნიტური მოდელების შესწავლაზე.

რადგანაც ენა არის კოგნიტური სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მისი ადეკვატური აღწერისთვის აუცილებელი აღმოჩნდა ინფორმაციის სხვა სფეროებიდან მოპოვება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელი აღმოჩნდა ენობრივი განზოგადება. სწორედ ენობრივი განზოგადების მეშვეობით გაფართოვდა ლინგვისტიკის საზღვრები,

უფრო ზუსტად კი, ლინგვისტიკა დაუკავშირდა ფილოსოფიას, ანთროპოლოგიას, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას, ხელოვნურ ინტელექტს, კიბერნეტიკას და ა.შ. მოკლედ სწორედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ლინგვისტიკაში ახალ შესაძლებლობათა გაჩენის ისტორია.

ენისადმი კოგნიტური მიდგომის ინტერდისციპლინარული ხასიათი იძლევა ლინგვისტურ პრობლემათა ფართო სპექტრში ხედვის საშუალებას. ენობრივი მასალის კვლევის ინტერდისციპლინარულმა საფუძვლებმა შეცვალა მეცნიერება ენის შესახებ.

თავი II. „სამყაროს ხატის“ მოდელირების, კოგნიციისა და კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა

2.1. „სამყაროს ხატის“ არსი

ტერმინი „სამყაროს ხატი“ გამოიყენება ფილოსოფიაში, ენათმეცნიერებაში, ფიზიკასა და სხვა მეცნიერებებში, თუმცა თითოეულში იგი თავისებურადაა ინტერპრეტირებული. პირველად, XX საუკუნის დასაწყისში ეს ტერმინი ფიზიკაში გამოიყენეს. ერთ-ერთი პირველი მკვლევართაგანი, რომელმაც დაიწყო აღნიშნული ტერმინის გამოყენება სამყაროს ფიზიკურ ხატთან მიმართებაში, იყო გ. ჰერცი (1918). მისი ინტერპრეტაციით, სამყაროს ფიზიკური ხატი წარმოადგენს გარე სამყაროში არსებულ საგანთა შინაგანი მახასიათებელთა ჯამს - „სურათს“. სწორედ აღნიშნულ მახასიათებელთა გათვალისწინებითა და ლოგიკური გზითაა შესაძლებელი მონაცემთა მოპოვება საგანთა ქცევის შესახებ.

ლინგვისტიკაში სამყაროს ენობრივი ხატის ცნების გაჩენა წარმოადგენს გნოსეოლინგვისტიკის, როგორც ლინგვისტიკის ნაწილის წარმოშობის სიმპტომს, რომელიც ვითარდება ანტროპოცენტრულ საწყისებზე. (Fedoseyev/ფედოსიევი, 1978) ენისმიერი სამყაროს ხატის თავისებურებებს მიეკუთვნება ასევე აზრის რეპრეზენტაცია სინტაქსურ კონსტრუქციებში, რომლებიც დამახასიათებელია მოცემული ენისათვის. სამყაროს ენისმიერი ხატის ცნების არსის თაობაზე არსებულ ვერსიათა სიმრავლეში უდაო რჩება შემდეგი:

1. მსოფლიოს ენობრივი დანაწევრება განსხვავდება სხვადასხვა ხალხებში;
 2. საქმიანობის პროცესში ადამიანის ცნობიერებაში წარმოიქმნება არსებული სამყაროს სუბიექტური გამოსახულება;
 3. ადამიანი ითვისებს ენას ისევე, როგორც გარემომცველ სამყაროს;
 4. სამყაროს ლოგიკური სურათის გვერდით წარმოიქმნება ენობრივიც, რომელიც არ ეწინააღმდეგება ლოგიკურს, მაგრამ არც იდენტურია მისი. (ჰუმბოლტი, 1988)
- ზემოხსენებულის საფუძველზე სამყაროს ენისმიერი ხატი განისაზღვრება, როგორც „რეალური საგნებისა და ურთიერთობების ენობრივი სახეები, ვერბალური წარმოდგენების პერიფერიული უბნები, რომლებიც ხდება დამატებითი მონაცემების წყარო ჩვენი გარემომცველი სინამდვილისა.

ტერმინს „სამყაროს სურათი“ იყენებდა მ. პლანკიც. სამყაროს ფიზიკურ ხატში იგი გულისხმობდა „სამყაროს სახეს“, რომელიც ასახავს ბუნების რეალურ კანონზომიერებებს. მ. პლანკი განასხვავებდა სამყაროს პრაქტიკულ და მეცნიერულ სურათებს. სამყაროს პრაქტიკულ სურათს იგი უკავშირებდა ადამიანის მთლიანურ წარმოდგენას სამყაროზე, რომელიც უყალიბდება ადამიანს თანდათანობით, საკუთარ განცდათა საფუძველზე. სამყაროს მეცნიერულ სურათს კი მ. პლანკი განიხილავდა როგორც რეალური სამყაროს

მოდელს წმინდა სახით - ინდივიდუალური და ზოგადკაცობრიული აზროვნებისაგან დამოუკიდებლად.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან სამყაროს ხატის პრობლემა განიხილება სემიოტიკის ფარგლებშიც. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში სამყაროს სურათი განიხილება როგორც რეალური სამყაროს ხატთა მთლიანობა, რომელიც არსებობს კოლექტიურ ცნობიერებაში - შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს სახეები (ხატები) და ცნებები. სახე (ხატი) არის ცნობიერებაში ჩამოყალიბებული ნებისმიერი პერცეფციული, ობიექტურად არსებული ან მოგონილი ფსიქიკური წარმონაქმნი, ხოლო ცნება კი - საგანთა კლასისა თუ მოვლენების შესახებ არსებული, ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრი. (Molcar/მოლკარი, 1986) „სამყაროს ხატის“ ტერმინის განსაზღვრება განპირობებულია ენის მეშვეობით ყოფიერების ასახვის პრობლემის გადაჭრის თავისებურებით. გამოიყოფა ორი მიდგომა: პირველი მიდგომის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა ენათა სემანტიკურ სისტემებს შორის არ არსებობს სხვაობა, რამდენადაც სინამდვილის ასახვა ეყრდნობა უნივერსალურ ლოგიკურ პრინციპებსა და კატეგორიებს. (Kiernan/კიერნანი, 1981).

აქედან გამომდინარე, შესაძლოა, გამოიყოს შემდეგი დებულებები:

1. ენა ობიექტურად ასახავს სამყაროს;
2. ყველა ერი არსებობს ყოფიერების ერთიან სივრცეში და ქმნის ერთიან კაცობრიობას;
3. სხვადასხვა ერის კულტურათა და ენათა შორის არსებული სხვაობა შემთხვევით ხასიათს ატარებს;
4. მიუხედავად ენათა და კულტურათა შორის არსებული სხვაობისა, ინფორმაციის ადეკვატური გადმოცემა მაინც შესაძლებელია;
5. სამყაროს ენისმიერი გამოხატვის ბირთვს ლოგიკური კატეგორიები წარმოადგენს;

მეორე მიდგომა კონცენტრირებულია სეპირ-უორფის ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზასა და ლ. ვაისგერბერის მოსაზრებებზე:

1. ენა სუბიექტურად ასახავს სამყაროს;
2. ერები არსებობენ ყოფიერების სხვადასხვა სივრცეში და არ ქმნიან ერთიან კაცობრიობას;
3. სხვადასხვა ერის კულტურათა და ენათა შორის არსებული სხვაობა არაშემთხვევით ხასიათს ატარებს;
4. ენათა და კულტურათა შორის არსებული სხვაობის გამო, ინფორმაციის ადეკვატური გადმოცემა შეუძლებელია.

სამყაროს სურათის ფიზიკური, ფილოსოფიური და ლინგვისტური ინტერპრეტაცია ქმნის სამყაროს ენისმიერი ხატის ანალიზის საფუძველს. ენა უშუალოდ მონაწილეობს სამყაროს ხატთან დაკავშირებულ ორ პროცესში:

1. პირველი - ენის წიაღში ფორმირდება სამყაროს ენისმიერი ხატი;
2. მეორე - თავად ენა გამოხატავს ადამიანის სამყაროს სხვა სურათებს. აღნიშნული სურათები შემოდის ენაში სპეციალური ლექსიკით. მათ შემოაქვთ ენაში ადამიანისა და მისი კულტურის მახასიათებლები. ენის მეშვეობით, ინდივიდების გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გარდაიქმნება ენობრივი კოლექტივის მონაპოვრად, კოლექტიურ გამოცდილებად. (Jones/ჯონსი, 1972)

ადამიანთა მიერ დაგროვილი გამოცდილება და ცოდნა ფიქსირდება ენობრივ მნიშვნელობათა სისტემაში. აღნიშნული სისტემის ათვისების პროცესში, ადამიანი ითვისებს ენაში განზოგადებულ ადამიანურ გამოცდილებას. იგი არ იგონებს სიტყვათა მნიშვნელობას - იგი ითვისებს უკვე მზა, დროსა და სივრცეში დადგენილ მნიშვნელობათა სისტემას, მშობლიურ ენაში მოცემულ საკლასიფიკაციო სისტემას. სწორედ აღნიშნული ფაქტის გამო ძალუმს ენას ადამიანის შემეცნებისა და მოღვაწეობის პროცესზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენა. (Kearney/კერნი, 1975)

ჰუმბოლდტი განიხილავდა ენას როგორც სამყაროს ხედვისა და გაცნობიერების საშუალებას. მისი თვალსაზრისით, კონკრეტული ენა, რომელსაც შობს ადამიანის სულიერი ენერგია, ქმნის სინამდვილის განსაკუთრებულ - მთლიანობრივ და ინდივიდუალურ მოდელს. ჰუმბოლდტის მიხედვით, ყოველ ენას აქვს თავისი შიდა ფორმა, თავისებური სტრუქტურა, რომელიც განპირობებულია „ხალხის სულის თვითმყოფადობით“.

ჰუმბოლდტი აღნიშნავს ენის მიმართებას აზროვნებასთან და აზროვნების განპირობებულობას კონკრეტული ენით. ყოველი ენა წარმოადგენს კლასიფიკაციის თვითმყოფად, ეროვნულ სისტემას, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტული ენის მატარებელთა მსფოლხედვას და ქმნის მათ სამყაროს ხატს. ჰუმბოლდტის ნააზრევი ისტორიულად წინ უსწრებდა სეპირ-უორფის ჰიპოთეზას ლინგვისტური ფარდობითობის შესახებ, თუმცა აღნიშნულმა ჰიპოთეზამ განვითარების გაზა დამოუკიდებლად განვლო. მიიჩნევდა რა, რომ ერის დამოკიდებულება სამყაროსადმი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ენობრივ ფორმებზე, სეპირი ცდილობდა, დაემტკიცებინა ერის კულტურის თავისებურების განპირობებულობა ენის თავისებურებით. იგი წერდა: „ჩვეულებრივ, ენის უპირველეს ფუნქციად ურთიერთობის ფუნქციას მიიჩნევენ... მაგრამ

ენა, უპირველესად, წარმოადგენს ობიექტური სინამდვილის სიმბოლური ხედვის ტენდენციის რეალიზაციას. სწორედ ამის გამო გახდა ენა ურთიერთობისათვის გამოსადეგი“ (Keesing/კისინგი, 1976)

რაც შეეხება სამყაროს ენისმიერი ხატის ლექსიკურ ასპექტს, განიხილავს რა „ენის შინაარსობრივ ელემენტებს“, სეპირის აზრით, ლექსიკა ერის კულტურის მეტად მგრძნობიარე მაჩვენებელი, ხოლო მნიშვნელობათა ცვლილება, ძველ სიტყვათა დაკარგვა, ახალთა შექმნა ან სესხება დამოკიდებულია თავად კულტურის ისტორიის თავისებურებაზე. ენები ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი ლექსიკის თავისებურებით. სხვაობა, რომელიც, გვეჩვენება გარდაუვლად, შეიძლება, უგულვებელყოფილ იქნას იმ ენების მიერ, რომლებიც ასახავენ აბსოლუტურად სხვა ტიპის კულტურას. ამასთანავე, ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, შესაძლოა, ყურადღება მიაქციოს იმ სხვაობას, რომელიც ჩვენთვის მთლიანობაში, სამყაროს სურათი მოიცავს ენის მეშვეობით ასახული ობიექტური რეალობის არა მხოლოდ კონცეპტუალურ (ლოგიკურ) ანაბეჭდს, არამედ ობიექტური რეალობის გრძნობით, ხატობრივ ანაბეჭდსაც, რომელიც გენერირებულია უშუალო შეგრძნებების, წარმოდგენებისა და განზოგადებული ანარეკლის (სქემების) მეშვეობით.

ენის სტრუქტურაში აისახება ურთიერთობები საგნებსა და მატერიალური სამყაროს მოვლენებს შორის, რომლებიც არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან და მისი საზოგადოებრივი მოთხოვნილობებისაგან დამოუკიდებლად.

ერთ-ერთი პირველი ლინგვისტთაგანი, ვინც ყურადღება მიაქცია ენისა და აზროვნების ნაციონალურ შინაარსს, იყო ვ. ფონ ჰუმბოლდტი, რომელის თვალსაზრისითაც:

1. ენა და აზროვნება განუყოფელადაა დაკავშირებული ერთმანეთთან;
2. ენის გამოყენების პროცესი განპირობებულია მოთხოვნილებებით, რასაც აზროვნება უყენებს ენას;
3. ენის ბუნებაში არის ის საერთო, რაც აერთიანებს სხვადასხვა ენებს: ენას -ორგანოს, რომელიც წარმოქმნის აზრს, მას უკავია წამყვანი როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში, მასში ცნებათა სისტემის წარმოქმნაში, მისთვის დაგროვილი გამოცდილების მინიჭებაში; ყოველ ადამიანს აქვს სუბიექტური სახე ერთგვარი საგნისა, რომელიც სრულად არ ემთხვევა იგივე საგნის სახეს სხვა ადამიანში.

სამეცნიერო ტერმინოლოგიურ სისტემაში სამყაროს ენისმიერი ხატის ცნება დაამკვიდრა ვაისგერბერმა. მან გამოყო ენისმიერი სამყაროს ხატის შემდეგი მახასიათებლები:

1. ენისმიერი სამყაროს ხატი არის სულიერი და ენობრივი შინაარსის მქონე სისტემა;

2. სულიერი შინაარსები განსაზღვრავენ კულტურისა და მენტალიტეტის თავისებურებებს მოცემული ენობრივ ერთობაში;
3. სამყაროს ენისმიერი ხატი წარმოადგენს, ერთი მხრივ, ეთნოსისა და ისტორიული განვითარების შედეგს, მეორე მხრივ კი, მისი შემდგომი განვითარების გზის თავისებურების მიზეზს;
4. სამყაროს ენისმიერი ხატი დინამიურია - დროში ცვლადია.

სამყაროს ენისმიერი ხატი ეფუძვნება ხალხის სოციალურ და შრომით გამოცდილების განსაკუთრებულობას. საბოლოოდ ეს თავისებურებები ნახულობს გამოხატულობას მოვლენათა და პროცესების ლექსიკურ და გრამატიკულ ნომინაციათა განსხვავებაში, ამა თუ იმ მნიშვნელობათა შეხამებით, მათ ეტიმოლოგიაში და ა.შ. (Corson/კორსონი, 1995) ლინგვისტიკა კავშირს ამყარებს სამყაროს ხატთან და ენასთან, შეისწავლის ენის მეშვეობით შინაარსის ფიქსაციის ხერხებს, სხვა სიტყვებით სამყაროს ენისმიერ ხატს, რომელიც ფორმულირდება კონცეპტუალური სამყაროს ხატზე დაყრდნობით. „სამყაროს ხატი როგორც ობიექტური რეალობის სუბიექტური გამოსახულება გამოიხატება ნიშანთა ფორმაში.

კატეგორიისა და კატეგორიზაციის გაგება ერთ-ერთი ძირითადია ადამიანის მოღვაწეობაში და კოგნიტური მიდგომის ერთ-ერთი ძირითადი გასაღებია. ობიექტებისა და მოვლენების კლასიფიცირება, მათი განაწილება სხვადასხვა კლასის, ასპექტის, ხარისხის და კატეგორიის მიხედვით მოწმობს იმას, რომ სამყაროს გაგების პროცესში ადამიანი აკეთებს დასკვნებს ერთი ობიექტის მეორისთან იდენტურობას ან განსხვავებულობასთან დაკავშირებით. კატეგორიზაცია წარმოადგენს სამყაროს მოწესრიგების, მოვლენებისა და ობიექტების სისტემატიზაციის ძირითად საშუალებას. კონცეპტუალიზაციის პროცესისგან განსხვავებით, კატეგორიზაციის პროცესი მიმართულია გასხვავებული ერთეულების გაერთიანებისაკენ უფრო დიდ ჯგუფში (Coulson&Oakley/კოულსონი &ოკლი, 2000)

ფართო გაგებით, კატეგორიზაცია თვითონ კატეგორიების ფორმირების და გამოყოფის პროცესია, ადამიანის შიდა და გარე სამყაროს ჩართვა არსებითი მახასიათებლები მისი ფუნქციონირებისა და ყოფის ძირითადი მახასიათებლების შესაბამისად, სხვადასხვა მოვლენებზე ზუსტი წარმოდგენა და აგრეთვე კლასიფიკაციური მოღვაწეობის შედეგი. ამდენად, კატეგორიზაცია-ადამიანის შემეცნებითი მოქმედების აღწერის ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელიც დაკავშირებულია არამხოლოდ კოგნიტურ შესძლებლობებთან და სისტემებთან, ასევე აზროვნების პროცესში განხორციელებული

მოქმედებებთან როგორცაა შედარება, გაიგივება და მსგავსების დადგენა

(Caverni,Fabre&Gonzalez/კავერნი,ფაბრი&გონსალესი, 1978)

თუ კატეგორიზაციის პროცესს ჩავთვლით ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად პროცესად, ლინგვისტიკა ინტერესდება იმ საკითხით, თუ რაზე

დაყრდნობით მოჰყავს ადამიანს სისტემაში ესა თუ ის მოვლენა და როგორ აკავშირებს მისი გრძნობის მრავალფეროვნება, ფორმის მრავალფეროვნებას და ამ ფორმების

მოქმედებას განსაზღვრულ კონტექსტში (Diesendruck/დისენდრაკი, 2003)

ანუ რაზე დაყრდნობით გამოაქვს ადამიანს დასკვნები მსგავსებასა და განსხვავებაზე და როგორ ანაწილებს აღქმულს ჯგუფის მიხედვით. ბოლო ათი წლის განმავლობაში უამრავი პუბლიკაცია გამოქვეყნდა იმ პრობლემასთან დაკავშირებით, რომელიც ეძღვნება კატეგორიასა და კატეგორიზაციას. მაშინ როცა მუშავდება კავშირი სხვადასხვა

კატეგორიებს შორის კონკრეტულ ენაში, ასევე კატერების არსებობის მიზეზები ერთ ენაში, რომელიც მთავარ როლს თამაშობს სხვა ენაში, წინ წამოიწია დურსტ-ანდერსენის ჰიპოტეზა, რომლის მიხედვითაც „ყველა ენა არ არის გრამატიზირებული ერთ ფუძეზე“.

ხარისხის კატეგორია, რომელიც მოიცავს ადამიანის მოქმედების ყველა სფეროს:

შემოქმედებით, სულიერ, მენტალურ, პიროვნული ურთიერთობების სფეროებს, დიდ როლს თამაშობს ონტოლოგიური კატეგორიის ჩამოყალიბებაში. ის წარმოადგენს კატეგორიას, რომელიც შეადგენს „ობიექტისა და სამყაროს შემეცნების საწყის საფეხურს, ყოფიერების ობიექტების უშუალო დახასიათებას“, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება სამყაროს ხატის შესახებ, ღირებულ ორიენტაციასა და კომუნიკანტების შიდა სამყაროზე.

კოგნიტივიზმის თანახმად, ადამიანი უნდა შევისწავოთ როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელი, ხოლო მისი საქციელი უნდა აიხსნას მისი შინაგანი მდგომარეობით.

ეს მდგომარეობები ფიზიკურად გამოვლინებულია, დაკვირვებადია და

ინტერპრეტირებულია როგორც მიღება, გადამამუშავება, შენახვა, ხოლო შემდეგ

ინფორმაციის მობილიზაცია იმისათვის რომ რაციონალურად გადავჭრათ ამოცანა

(კოულსონი&ოკლი,2000)

გარდა ამისა, დღესდღეობით ტერმინ „კოგნიტივიზმს“ უწოდებენ:

1. კაცობრიობის „აზროვნების მექანიზმის“ კვლევას;
2. ინფორმაციის გადამამუშავების პროცესის შესწავლას, რომელიც ადამიანში სხვადასხვა გზებით შედის;
3. სამყაროს მენტალური მოდელების აგებას;

4. სისტემების მოწყობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ტიპის კოგნიტურ აქტებს;
5. აზროვნების გაგებას და ფორმირებას.

კოგნიტივიზმში მთავარი ყურადღება ენიჭება ადამიანის შემეცნებას, ამ დროს გამოიკვლევა, არა მხოლოდ ის ქმედებები, რომლებსაც ვაკვირდებით, არამედ მათი მენტალური რეპრეზენტაციები/გამოხატულებები (შინაგანი მოდელები) სიმბოლოები, ადამიანის სტრატეგიები, რომელიც ცოდნის საფუძველზე ბადებს ქმედებებს (Dirven&Frank/დირვენი, ფრანკი, 2003)

ამგვარად, კოგნიტივიზმის უმნიშვნელოვანეს პრინციპებს შორის არის უმთავრესი პრინციპი, რომ ადამიანი აღქმულია, როგორც მთავარმოქმედი, რომელიც აქტიურად იღებს და ამუშავებს ინფორმაციას, რომელიც გონებრივი მუშაობის კონრეტული სქემებით, პროგრამებით, გეგმებით და სტრატეგიებით ხორციელდება. ხოლო თავად კოგნიტური მეცნიერება განიხილება როგორც ზოგადი პრინციპების მეცნიერება, რომელიც მართავს მენტალურ პროცესებს ადამიანის გონებაში (De Mey/დი მეი, 1992) გარდა ამისა, თუკი განვიხილავთ სპეციალურ ლიტერატურას კოგნიტივიზმში მოიცავენ რამოდენიმე მეცნიერებას - კოგნიტური ფსიქოლოგია, კულტურული ანთროპოლოგია, ხელოვნური ინტელექტის მოდელირება, ფილოსოფია, ლინგვისტიკა და ა.შ. ამ კუთხით, აღსანიშნავია კოგნიტივიზმის ინტერდისციპლინარული ხასიათი (დირვენი&ტეილორი, 1988)

2.2. კოგნიციისა და კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა

კოგნიტური ლინგვისტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს ენობრივი ფორმის მის მენტალურ რეპრეზენტაციასთან დაკავშირება .

კოგნიტური ლინგვისტიკა ორიენტირებულია ადამიანის მენტალურ ქმედებათა ძირითადი მექანიზმების დემონსტრირებაზე .

რამდენადაც კოგნიციის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ენა, კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა შეიძლება, გავიაზროთ როგორც კოგნიციისა და ენის პრობლემათა თანაფარდობის ანალიზის სივრცე .

აღნიშნული ანალიზი გულისხმობს სამყაროს შეცნობისა და ადამიანის ყოველდღიურ გამოცდილებაზე დაფუძნებულ, მუდმივად მიმდინარე ბუნებრივი კოგნიციის დაპირისპირების კვლევას . (Dirven&Verspoor/დირვენი&ვერსპური,1998)

სინამდვილის კლასიფიკაციისა და კონცეპტუალიზაციის კვლევა, უპირველეს ყოვლისა, ეხება სწორედ ადამიანის ჩვეულ საქციელსა და აკუმულირებულ გამოცდილებას . ენა კი ასახავს კოგნიციის, როგორც პროცესის შედეგებს, რომელიც, თავის მხრივ, ორიენტირებულია ადამიანის გარემოსთან ადაპტაციასა და ადამიანის აღქმის მონაცემთა კლასიფიკაციაზე (ტომასელო, 1998)

ენაში ფიქსირებული ცოდნის სტრუქტურები წარმოადგენს ადამიანის გამოცდილების, სამყაროს შეცნობისა და შეფასების სტრუქტურებს, რომელსაც აღიარებს კონკრეტული ენობრივი საზოგადოების თითოეული წევრი .

კოგნიტური ლინგვისტიკის პრობლემატიკა შეიძლება, განისაზღვროს ისეთ საკითხთა ანალიზით, როგორცაა:

1. კოგნიციის არსი: კოგნიცია წარმოადგენს იმ ძალას, რომლის მეშვეობითაც ორგანიზდება აზრთა წარმოქმნის პროცესი. სწორედ კოგნიცია არეგულირებს მნიშვნელობათა გამოყენებას კონკრეტული კულტურის ფარგლებში .მნიშვნელობათა რეგულაციაში იგულისხმება მნიშვნელობისათვის ცნობადობის მინიჭება კონკრეტული კულტურის ყველა წარმომადგენლისათვის. მნიშვნელობის ცნობადობა დაკავშირებულია ადამიანის სოციალურ და კულტურულ გამოცდილებასთან (Evans&Green/ევანსი&გრინი, 2006)
2. ინფორმაციის გადამამუშავებელი სისტემის არსი: კოგნიტივიზმი განიხილავს ადამიანს როგორც ინფორმაციის გადამამუშავებელ სისტემას . აღნიშნული სისტემის ფუნქციონირება გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებას, დამუშავებას, შენახვასა და მობილიზირებას. ეს ქმედებები გამიზნულია გონივრულ ამოცანათა ადეკვატურ შესრულებაზე. (ფოკონიერი, 1994)
3. „მნიშვნელობისა“ და „ინფორმაციის“ დიფერენცირება: „მნიშვნელობა“ და „ინფორმაცია“ რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან: მნიშვნელობა გააჩნია არაინფორმატიულ შეტყობინებასაც კი.იმ სისტემისათვის, რომელიც ამუშავებს ინფორმაციას, ნიშნადია მხოლოდ შეტყობინების ინფორმატიულობა. შეტყობინება კი ინფორმატიულია იმ შემთხვევაში, თუ იგი თავსდება წინასწარ შედგენილ კოდში (ფოკონიერი ,1997)
4. ენობრივი ცოდნის სტრუქტურათა თავისებურება: ცოდნის სტრუქტურა არ არის დახშული კონსტრუქტი - იგი მუდმივად ფორმირდება იმავდროულად, ცოდნის სტრუქტურას ძალუმს იმ „ხატთა სამყაროს“ ფორმირება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. ცოდნის სტრუქტურა არა მხოლოდ ასახავს ემპირიულ

მოცემულობას, არამედ ახდენს მის .პერსპექტივათა თანაზიარობის არსი: ერთიდაიგივე ობიექტი შეიძლება სხვადასხვა რამეს ნიშნავდეს სხვადასხვა ადამიანებისთვის. ეს სირთულე სოციალურ სამყაროში დაძლეულია პოზიციათა "გაიდელიზების" საშუალებით, რაც შემდეგს ვგულისხმობს: ჩვენ სხვის ადგილას რომ ვიყოთ, მოვლენებს ისევე დავინახავდით როგორც ისინი შეთანხმების სისტემის ფარგლებში უგულებელყოფილია განსხვავებები (Hampton/ჰამპტონი, 1997)

5. სამყაროს კოგნიტური სურათის სპეციფიკა: სამყაროს კოგნიტური სურათი გააზრებულია როგორც სინამდვილის მენტალური მოდელი. აღნიშნული მოდელის მეშვეობით შესაძლებელია მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ახსნა, მოვლენათა პროგნოზირება, ასევე ადამიანის გრძნობითი და რაციონალური გამოცდილების ორგანიზება. სწორედ ეს გამოცდილება აკუმულირდება მეხსიერებაში (Gibbs/გიბსი, 2006)
6. კონცეპტისა და კონცეპტუალური სფეროს არსი: კონცეპტი გააზრებულია ადამიანის ცნობიერების გლობალურ ერთეულად, კონცეპტუალური სფერო კი - წმინდა აზროვნების სფეროდ, რომელიც კონსტრუირებულია კონცეპტებისაგან კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში მყოფ კონცეპტთა ერთგვარ ჯაჭვს (Heit/ჰეიტი, 1997)
7. კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის მიმართების საკითხი: სემანტიკა წარმოადგენს ურთიერთგანმსაზღვრელ ელემენტთა მოწესრიგებულ მთლიანობას. ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტოსფეროს ის ნაწილია, რომელშიც იღებს გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით. გარკვეული თვალსაზრისით, ენის სემანტიკური სივრცე და კონცეპტოსფერო იგივეობრივი ფენომენებია. მათი იგივეობრიობა გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ორივე მათგანი აზროვნებისათანაა დაკავშირებული. მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავება კი შემდეგში მდგომარეობს: ენობრივი მნიშვნელობა, როგორც სემანტიკური სივრცის ელემენტი, მიბმულია ენობრივ ნიშანთან, ხოლო კონცეპტი კი, როგორც კონცეპტოსფეროს ელემენტი, არ არის მიბმული ენობრივ ნიშანთან. კონცეპტუალური სფერო შეიძლება იყოს და არც იყოს გამოხატული ენობრივი ნიშნით - იგი შესაძლოა, გამოიხატოს ალტერნატიული ნიშანთა სისტემით.

კვლევის სემანტიკურ–კოგნიტური მიდგომის არსი: კვლევის სემანტიკურ–კოგნიტური მიმართულება გულისხმობს სემანტიკურ და კოგნიტურ პროცესთა შორის არსებული მიმართების კვლევას ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია და განხლებადია დროსა და სივრცეში (Talmy/თალმი, 2000) . იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით. თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზითაა შესაძლებელია ადამიანის კონცეპტოსფეროში შეღწევა. რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა გააზრებულია კონცეპტის ნომინაციურ ველად (Harnad/ჰარნადი, 1990)

8. მენტალიტეტისა და სამყაროს კოგნიტური ხატის მიმართების საკითხი: მენტალიტეტი გააზრებულია როგორც სინამდვილის აღქმისა და გაცნობიერების სტილი. სტილის თავისებურება განპირობებულია ცნობიერების კოგნიტური სტერეოტიპების თავისებურებით. კონკრეტული პიროვნების მენტალიტეტი დეტერმინირებულია ეროვნული და ჯგუფური მენტალიტეტით, ასევე ადამიანის განვითარების თავისებურებით, კერძოდ, მისი განათლებით, კუტურით, მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის სპეციფიკით. (Wilensky/ვილენსკი, 1990) ჯგუფური მენტალიტეტი განპირობებულია სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული, გენდერული ჯგუფების მიერ მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის თავისებურებით . რაც შეეხება ეროვნულ მენტალიტეტს, იგი განპირობებულია მოვლენათა აღქმისა და ინტერპრეტაციის ეროვნულობით. (ევანსი, 2013)
9. კონცეპტისა და სიტყვის მიმართების საკითხი: აზროვნებსა და ვერბალიზაციის მექანიზმები აბსოლუტურად სხვადასხვა მექანიზმებია, შესაბამისად, კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პრობად. ვერბალიზაციას შესაძლოა, არ დაექვემდებარის როგორც მთელი კონცეპტი, ისე მისი ცალკეული აზრობრივი ნაწილი. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტს, მაგრამ იგი წარმოადგენს კონცეპტს არა სრულად - ენობრივი ნიშანი თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს რამდენიმე კონცეპტუალურ თვისებას. და მაინც, კონცეპტი მთელი თავისი შინაარსის სისრულით შესაძლოა გამოიხატოს

მხოლოდ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით - სიტყვა წარმოადგენს კონცეპტუალური ცოდნის „გასაღებს“. კონცეპტის ენობრივი გამოხატულება, მისი რეგულარული ვერბალიზაცია უზრუნველყოფს კონცეპტის სტაბილურობას, მდგრადობასა და ცნობადობას (Johnson/ჯონსონი, 1987)

10. კონცეპტისა და მნიშვნელობის მიმართებების საკითხი: კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის არსებობს როგორც მსგავსება (ორივე ასახვას სინამდვილეს) ისე განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების). ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ ნიშნად კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არა სრულად. კონცეპტი უფორ ფართოა ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა (Ronald/რონალდი, 1998)
11. სემანტიკური ფრეიმის არსი: სემანტიკური ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის რეპრეზენტაციის სტრუქტურასა და ადამიანის მეხსიერების ორგანიზაციის კონცეპტუალურ მოდელს. ადამიანის აზროვნების პროცესის საფუძველს წარმოადგენს მის მეხსიერებაში აკუმულირებული სტრუქტურები - ფრეიმები (Radden/რადენი, 1992.) ფრეიმი გააზრებულია მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეულს ,ფრეიმი წარმოადგენს სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო სქემას, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას. სემანტიკური ფრეიმები ქმნიან რეპერტუარულ ბადეს (repertory grid), რომელიც განიხილება ცოდნის ერთგვარ მატრიცად. (Le Pan/ლე პენი 1989)

თავი III. კონცეპტუალური სივრცის სეგმენტაციის პრინციპები და კონცეპტუალური ქსელის მარკერები

3.1. სეგმენტაციის პრინციპები

ნაშრომში კონცეპტუალური სივრცე გააზრებულია როგორც სიღრმისეული, შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეული, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მიერ სამყაროს აღქმის საფუძველს.

კონცეპტუალური სივრცე გვეხმის როგორც მოცულობითი სიმრავლე, რომელშიც ჩართულია ისეთი სიმრავლეები როგორიცაა სემანტიკური ფრეიმი და თემატური ჯგუფი. ნაშრომში ფრეიმი გააზრებულია, როგორც:

1. ცოდნის გამოხატვის საშუალება, აღსაწერ სამყაროზე არსებული, ძირითადი ცოდნის ერთობლიობა და ადამიანის მეხსიერებაში ორგანიზებული სახით არსებულ წარმოდგენათა კონსტრუქტი;
2. მონაცემთა სტერეოტიპული სიტუაციების წარმოდგენის სტრუქტურა;
3. გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ ერთეული, რომელიც მოიცავს ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციას;
4. მოვლენათა და საგანთა შორის არსებულ მიმართებათა შესახებ არსებული ცოდნის რეპრეზენტაციის ერთეული;
5. სტერეოტიპული აღქმის რეპრეზენტაციისათვის საჭირო სქემა, რომელიც იძლევა სამყაროს შესახებ არსებული მრავალფეროვანი ცოდნის გამოსახვის შესაძლებლობას.

ნაშრომში თემატური ჯგუფი გააზრებულია, როგორც შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეული, რომელშიც კონკრეტულ ელემენტთა არსებობა განპირობებულია

ელემენტთა სემანტიკური მსგავსებითა და ელემენტთა სემანტიკურ სტრუქტურაში მნიშვნელობის საერთო კონპონენტის არსებობით.

ნაშრომში კონცეპტუალური სივრცის სემენტაცია განხორციელდა ისეთი პრინციპების მეშვეობით, როგორცაა:

1. კატეგორიზაცია, რომელიც გულისხმობს ობიექტთა და რეალობის მოვლენათა გააზრებას კატეგორიების - განზოგადებულ ცნებათა - ჩარჩოებში.

რეალობის კატეგორიზაციისას ადამიანის ცნობიერება ახორციელებს ადამიანის განცდათა, მატერიის ფორმათა და მატერიის მოძრაობის ფორმათა მარავალფეროვნების კლასიფიკაციას, სხვა სიტყვებით, მრავალფეროვნებას „ათავსებს“ გარკვეულ რუბრიკებში - კლასებში, ჯგუფებში, სიმრავლეებში, კატეგორიებში. (ლე პენი, 1989)

2. „ზოგადის“ და „ერთულის/განსაკუთრებულის“ მიმართების პრინციპი, რომლის წარმოდგენა შეუძლებელია „ერთულისა და განსაკუთრებულის“ არსებობის გარეშე. ამ უკანასკნელთა გააზრებაც არ ხერხდება „ზოგადის“ არსებობის ფაქტის გაუთვალისწინებლად.

სწორედ ამ კატეგორიებისათვის დამახასიათებელ მიმართებაში იმყოფება ერთმანეთთან მთლიანობრივი ერთეული და მისი კონკრეტული სემენტები. აღნიშნული სემენტები ერთმანეთთან კავშირშია - თითოეული იმდენად არის გარკვეული, რამდენადაც გარკვეულია მეორე. (Rosch/როში, 1978)

3. სიმრავლეთა ერთმანეთში ჩართულობის პრინციპი, რომელიც მიხედვითაც უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტი ყოველთვის ჩართულია უფრო ზოგადი ელემენტის მნიშვნელობაში – ესა თუ ის წევრი გაერთიანებულია რაღაც კლასში.

რაც უფრო ნაკლებია ელემენტის ექსტენსიონალი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთი ელემენტი ყოველთვის ჩართული აღმოჩნდება გარკვეულ ზოგად კლასებში. უფრო ზოგადი მნიშვნელობის მქონე ელემენტი ერთი მთლიანობის ფარგლებში ყოველთვის იქვემდებარებს უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ელემენტს

4. „პერსპექტივათა გაიდვალისებების“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს ყველა ადამიანის მიერ გაზიარებულ ცოდნას სამყაროს შესახებ. „გაიდვალისებული პერსპექტივები“ ფარავს არა პირადულ, არამედ ყველასათვის საერთო სამყაროს. „გაიდვალისებული პერსპექტივები“ ცოდნის ინტერსუბიექტურობის ერთ-ერთი მანიფესტაციაა. ინტერსუბიექტურობა არსებობს ”თვალსაჩინო აწმყოში”, სადაც

ჩვენ ვლაპარაკობთ და ვუსმენთ ერთმანეთს. ჩვენ სხვებთან ერთად ერთი და იმავე დროსა და სივრცეში ვართ მოქცეული. ეს სინქრონულობა უმნიშვნელოვანესია ინტერსუბიექტურობაში, რადგან ეს ნიშნავს რომ მე ვიგებ ალტერ ეგოს სუბიექტურობას იმ დროს, როცა ვცხოვრობ ჩემი ცნობიერების ნაკადში, ვიგებ სხვათა ინტენციებს, ინტერესებს, მნიშვნელობებს.

ენასთან მიმართებაში კონცეპტუალური სივრცის სიღრმე ასოცირდება გემტალტის ფენომენტთან. ზედაპირულ ენობრივ დონეზე ერთი და იგივე გემტალტი შეიძლება, რეალიზდებოდეს როგორც სხვადასხვა აზრი და მხოლოდ განსაკუთრებული კვლევა იძლევა მათი ერთობის დადგენის შესაძლებლობას. (Whorf/უორფი, 1956) ამდენად, გემტალტი არის უნივერსალური წარმოდგენა, რომელიც ასოცირდება ადამიანის ფსიქიკის სიღრმესთან და არსებობს ბუნებრივი ენის კატეგორიალური ჩარჩოების მიღმა - გემტალტი არღვევს გამონათქვამის საზღვრებს, თუმცა იმყოფება მასთან ორგანულ კავშირში.

გემტალტი, როგორც ცნების სახეობა, წარმოადგენს სიტყვით გამყარებულ მთლიანობრივ სახეს, რომელიც მოიცავს ობიექტის ან მოვლენის დინამიურ და სტატიკურ ასპექტებს. გემტალტები ქმნიან აბსტრაქტული ლექსიკის სემანტიკურ შინაარსს, რომელთა მნიშვნელობაც უკავშირდება ემოციურად განცდად მოვლენებს. იღებენ რა გარკვეული კომპლექსური სურათის ფორმას, აღნიშნული მოვლენები ასოცირდებიან შემეცნებასთან.

3.2. მთლიანობათა ტიპები

ენა მხოლოდ შემეცნებული რეალობის საშუალებას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი შეუცნობის შემეცნებაზე მეტია. ენა წარმოადგენს აზროვნების იარაღს, რაზეც მეტყველებს განსაზღვრება იმის თაობაზე, რომ ენა უნდა განისაზღვროს როგორც აზროვნების უშუალო რეალობა ან ენა უნდა განისაზღვროს როგორც აზროვნების მატერიალური რეალობა. ამ განსაზღვრებაში ხაზი გაესვა იმ არსებით ნიშანს, რომელიც აზროვნებას უკავშირდება და რომელიც ენის კოგნიტიურ და კომუნიკაციურ ფუნქციათა ურთიერთობაში ვლინდება. ენა არ არის მხოლოდ ურთიერთობის საშუალება და აზროვნების იარაღი – ენა ადამიანის და ერის შინაგანი სამყაროს გადმოცემის, გამოხატვის საშუალება, ერის კულტურის პროდუქტი, ერთიანი სამყაროს სხვადასხვა დონეზე აღქმისა და გადმოცემის ინსტრუმენტი. (Fodor/ფოდორი, 1990)

დინამიკაში მყოფი რეალობის ენობრივ სიბრტყეზე დანაწევრება და განლაგება, ცალკეული ფრაგმენტების ასოციაციური და თანამიმდევრული ასახვა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანის გარემომცველ სამყაროზე, არამედ თავად ადამიანზეც, როგორც მის განუყოფელ ნაწილზე.

ენობრივი ნიშნის შინაასობრივი მხარე დინამიური და მუდმივად ცვალებადია. იგი განიცდის როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტორების განუწყვეტელ ზემოქმედებას. სიტყვის შინაარსის პლანზე ზემოქმედი ფაქტორების შესწავლა იძლევა სიტყვის შინაარსის პლანის გარე სამყაროსთან კავშირის საფუძვლების იდენტიფიცირების საშუალებას.

ექსტრალინგვისტური პლანი გვამღევს სიტყვის, საგის, მოვლენის და იდეის გაერთიანების საშუალებას. იგი გვეხმარება შევადწინოთ სიტყვის სემანტიკის ნაციონალურ სფეროში, დავაკვირდეთ ლექსიკური ერთეულის სიცოცხლის მრავალწახნაგოვან და რთულ პროცესს დინამიკაში. სიტყვის სემანტიკური სამყარო ასახავს ამ ენაზე მოლაპარაკე საზოგადოების ცხოვრებას და აღინიშნება ტერმინით „სიტყვა-ხატი“. „ენობრივი ხატი“ ყოველთვის პოულობს ვერბალურ გამოხატულებას. ყველა „ენობრივი ხატი“ განისაზღვრება ექსტრალინგვისტური ხასიათის ასოციაციური თუ ნაციონალურ-ინტერნაციონალური კავშირებით.

ფრაზეოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის მყარ შესიტყვებებს, მათ წარმოშობა-განვითარებას და ფუნქციონირებას ენის სისტემაში. იგი მოიცავს ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ასევე ამა თუ იმ მწერლის, ლიტერატურული მიმართულების, საზოგადოებრივი ფენისათვის დამახასიათებელ სტილისტური ხერხების ერთობლიობას (Altick/ალტიკი, 1982)

არსებობს მთლიანობათა სხვადასხვა ტიპი:

1. მთლიანობა, რომელშიც მნიშვნელობას ვიგებთ მისი შემადგენელი კომპონენტების მეშვეობით (ეს მთლიანობები მეტაფორული ან მეტონიმურია), მაგალითად:

To play the first fiddle- to be a leader.

2. სიტყვათშეთანხმებები - კოლოკაციები, სადაც სიტყვები გაერთიანებულია თავდაპირველი მნიშვნელობით, მაგრამ ეს გაერთიანებები სხვადასხვა ენაში განსხვავებულია, (Alexander/ალექსანდერი, 1978). მაგალითად:

Cash and carry-self-service shop in a big way(in great degree)

ფრაზეოლოგიური ერთეულები განსხვავებულია ყველა ენაში, მაგრამ არსებობს უნივერსალური ფრაზეოლოგიური ერთეულებიც. ინგლისური ენა საკმაოდ მდიდარია

ფრაზეოლოგიზმებით, იდიომატური გამოთქმებით. ეს ის ენაა, რომლის იდიომატური გამოთქმები, ენაში არსებული მყარი ფრაზები საკმაოდ ექსპრესიული და შთამბეჭდავია, განსაკუთრებით არაინგლისურენოვანი საზოგადოებისათვის (Galperin/გალპერინი, (1968) მაგალითად:

a bread and cheese marriage-ქორწინება ღარიბზე

a rope of sand-ილუზია,

a green-eyed monster-ეჭვიანი ადამიანი..

ეს ფრაზეოლოგიური ერთეულები გაცვეთილი, ენაში დამკვიდრებული მყარი ფრაზებია, საკმაოდ საინტერესო შეიძლება იყოს ქართველი მკითხველისა თუ მსმენელისათვის, მაგრამ ინგლისელისა თუ ამერიკელისათვის მოკლებულია ყოველგვარ ემოციურ შეფერილობას, რაც განპირობებულია მისი გამოყენების სიხშირით. აქვე მინდა მოვიყვანო მაგალითად ის იდიომები, მეტაფორები და შედარებები, რომლებიც გამორჩევიან მაღალმხატვრულობით და ორიგინალობით, ამგვარი ფრაზეოლოგიური ერთეულები გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში, მაგალითად:

(Bednar&Hineline/ბედნარი&ჰაინლაინი, 1982)

აქ დაპირისპირებულ საგნებს პრაქტიკულად არაფერი აერთიანებთ და ერთის მეორეთი დაკონკრეტება მხოლოდ მწერლის სუბიექტურ ასოციაციებს ეფუძნება. ასე რომ, აზრიცა და წარმოდგენაც საგნიდან კი არ ამოდის, არამედ ჩვენი გრძნობების შთაბეჭდილებებიდან. ამიტომ არის, რომ ჩვენი ესთეტიკური ალლო სიამოვნებით აღიქვამს თვით ყველაზე ალოგიკურსა და ორიგინალურ შედარებებსა და მეტაფორებს. (Jakobson/იაკობსონი, 1982)

ფრაზეოლოგია წლების მანძილზე მრავალი ცნობილი ენათმეცნიერის ინტერესის სფეროდ იქცა. ფრაზეოლოგიის ინტენსიური კვლევისას, წლების მანძილზე არ წყდებოდა და დღესაც არ წყდება დისკუსია საკვლევ სფეროსათვის რელევანტური საკითხების გარშემო. (Altenberg/ალტენბერგი, 1998)

ძირითადი სირთულე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ კვლევის ობიექტს სტრუქტურულად და სემანტიკურად ჰეტეროგენული ფენომენი წარმოადგენს, რომლის ნომინაციისათვის ენათმეცნიერულ ლიტერატურაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტერმინოლოგიური ჩამონათვალი არსებობს.

ენათმეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად (რასაც ჩვენც აბსოლუტურად ვიზიარებთ), ფრაზეოლოგიზმი ეწოდება ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც

ახასიათებს სტრუქტურული მდგრადობა, მონოლითური ტრანსფორმირებული მნიშვნელობა და ექსპრესიულ-ემოციონალური შეფერილობა.

ფრაზეოლოგიური ერთეული არის სიტყვათა ჯგუფი, რომელიც ენაში არსებობს მზა ფორმით და წარმოადგენს მდგრად ენობრივ წარმონაქმნს. ფრაზეოლოგიზმები ენათმეცნიერულ ლიტერატურაში იდიომატიზირებულ ლექსიკურ ერთეულებად მოიხსენიება. ისინი წარმოადგენენ ენის განუყოფელ ნაწილს და განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ მისი ლექსიკური ფონდის გამდიდრებაში. (Everaert&Kuiper/ევერაერტი, კუპიერი, 1996). ფრაზეოლოგიური ერთეულების რაოდენობის ზუსტი აღრიცხვა საკმაოდ რთულია, რადგან ენის შემოქმედებითი უნარი განაპირობებს ფრაზეოლოგიური ერთეულების წარმოქმნის მუდმივ პროცესს. აღსანიშნავია ასევე ის გარემოება, რომ ფრაზეოლოგიზმები, როგორც ნომინაციის ფუნქციის მქონე ერთეულები, არათანაბრადაა გადანაწილებული ობიექტური სამყაროს მთელ სპექტრზე და ამდენად იგი ლექსიკისაგან განსხვავებით მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებს სამყაროს რეალიების ასახვას (Dobrovol'skij/დობროვოლსკი, 1980)

თითოეული ფრაზეოლოგიზმის უკან დგას სოციალური, ენობრივი და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების ურთიერთქმედების ხანგრძლივი პროცესი.

ფრაზეოლოგიზმში ასახულია ასწლეულების განმავლობაში ერის მიერ დაგროვილი სოციალური და ფილოსოფიური გამოცდილება.

ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიზმები წარმოადგენენ ამა თუ იმ ენაში მტკიცედ ჩამოყალიბებულ გამონათქვამებს, ამ ენისათვის დამახასიათებელ თავისებურ შესიტყვებებს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მკვიდრდებოდნენ ენის მარაგში. მათ წარმოშობას განაპირობებს ამ ენის მატარებელი ხალხის კულტურა, ისტორია, ფსიქოლოგია, ტრადიციები და კულტურული რეალიები, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრება, ასევე სოცილურ-ეკონომიკური ურთიერთობები.

ფრაზეოლოგიზმებს განიხილავენ სინამდვილესა და აზროვნებასთან თანაფარდობაში.

ფრაზეოლოგიზმები დამახასიათებელია ყველა ენისათვის, განვითარების რომელ დონეზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. ეს წარმოადგენს კიდევ ერთ მტკიცებას იმისა, რომ „ფრაზეოლოგია ენობრივი სისტემის განუყოფელი და ორგანული ნაწილია“. (Виноградов/ვინოგრადოვი, 1947)

ფრაზეოლოგია სწორედ ის სფეროა, სადაც ერთმანეთზეა გადახლართული ხატოვნება, ექსპრესიულობა, ინტენსიურობა და შეფასება.

ლინგვისტიკაში ფრაზეოლოგიასთან დაკავშირებული მეცნიერული აზრის განვითარება აისახა ათასობით მეცნიერულ გამოკვლევაში. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს ვ.

ვინოგრადოვის ნაშრომი - „რუსული ფრაზეოლოგიზმების ძირითადი ტიპების შესახებ“.

ვინოგრადოვი ენაში არსებულ მთელ ფრაზეოლოგიურ მასალას სამ დიდ ჯგუფად ჰყოფს:

1. ფრაზეოლოგიური შენაზარდები;
2. ფრაზეოლოგიური მთლიანობები;
3. ფრაზეოლოგიური შესიტყვებები.

ვ. ვინოგრადოვის სამწევრიან კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო სემანტიკური პრინციპი. ავტორს ფრაზეოლოგიური შენაზარდები მიაჩნია „განუყოფელი ელემენტების გაყინულ მასად“. მნიშვნელობით ისინი სიტყვის ეკვივალენტებია არიან. მისი აზრით, ფრაზეოლოგიურ მთლიანობაში აშკარად ჩანს გადატანითი მნიშვნელობა. ვინოგრადოვი მიიჩნევს, რომ ამ ჯგუფის ძირითადი მასისათვის დამახასიათებელია ხატოვნება (ვინოგრადოვი, 1938)

თუმცა ა. თაყაიშვილი გვთავაზობს ფრაზეოლოგიური შენაზარდებისა და ფრაზეოლოგიური მთლიანობის გაერთიანებას: „სამართლიანია მოთხოვნა, გაერთიანდეს მყარი შესიტყვების ეს ორი ტიპი და მათ იდიომი ეწოდოს“ (თაყაიშვილი, 1965) იგი აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში თვით ვ. ვინოგრადოვიც ვერ ხედავს მათ შორის დიდ სახვაობასა და მთლიანობაში საქმე გვაქვს არა სხვადასხვა მოვლენასთან, არამედ ერთი მოვლენის სხვადასხვა საფეხურთან. როგორც ვხედავთ, შენაზარდებისა და მთლიანობის დაცალკავებას ხელოვნური ხასიათი აქვს. მათი გამთიშავი „ლაკმუსის ქაღალდი“ ჯერჯერობით არ ჩანს და არცაა საჭირო“. (ვინოგრადოვი, 1947)

არსებობს უამრავი განსხვავებული მოსაზრება ფრაზეოლოგიზმების განმარტებასთან დაკავშირებით. ეს განმარტებები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, თუმცა ზოგი გვთავაზობს მოვლენის უფრო ზოგად და ვრცელ ახსნას, ზოგი კი – შედარებით კონკრეტულსა და მოკლეს. მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე მათგანს: ა. კუნიჩის განსაზღვრებით, „ფრაზეოლოგია არის მეცნიერება ფრაზეოლოგიური ერთეულების (ფრაზეოლოგიზმების), ანუ გართულებული სემანტიკით სიტყვათა ისეთი მყარი შეერთების (შეწყობის) შესახებ, რომლებიც არ იწარმოებიან ცვლადი შესიტყვებების სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების მსგავსად“ (Кунин/კუნიჩი, 1972)

გინსბურგის მიხედვით, „ფრაზეოლოგიური ერთეული არის არამოტივირებულ სიტყვათა ჯგუფი, რომელიც მეტყველებაში თავისუფლად კი არ იხმარება, არამედ მზამზარეულადაა წარმოდგენილი“ (Ginsburg/გინსბურგი, (1977)

ეს განსაზღვრება ეფუძნება იმ მოსაზრებას, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულის მთავარი, მნიშვნელოვანი თვისებებია: ლექსიკური კომპონენტების სტაბილურობა და ხელახალი მოტივაცია, გადააზრება.

ზოგი ავტორი „ფრაზეოლოგიური ერთეულის“ ნაცვლად უბრალოდ „ფიქსირებულ გამოთქმას (set expressions) ხმარობს, მაგალითად, ი. არნოლდი მას განმარტავს როგორც ფრაზას, რომლის ელემენტებიც ყოველთვის ერთი და იგივეა და ერთმანეთთან მიმართებაში ფიქსირებულ კონტექსტს ქმნიან (Арнольд/არნოლდი, 1973)

ვ. გრაფი იყენებს ტერმინს „ფორმულა“ ან „ფორმულა გამონათქვამი“ და განმარტავს მას, როგორც სტერეოტიპულ ერთიანობას, რომელიც შედგება სიტყვებისაგან. ეს სიტყვები კი პრაქტიკულად არ შეიძლება შეუიჩვალოს ფრაზის მნიშვნელობის და მისი ნაწილების შეცვლის გარეშე.

სხვა განმარტების მიხედვით, ფრაზეოლოგიზმი „არის მყარი სიტყვათჯგუფი“ (Ginsburg/გინსბურგი 1977)

სიტყვათა მყარ შეერთებას შემდეგი მსაზღვრელები აქვს: „სტრუქტურა, კომპონენტების გადაჯაჭვის ხარისხი და მნიშვნელობა, რომელიც აღმოცენდება სტრუქტურების ურთიერთქმედების შედეგად“ (Ulmann/ულმანი 1964)

„ენის ექსპრესიულ შესაძლებლობათა საგანძურში გვაქვს სემანტიკური

სიტყვათშეთანხმებანი, რომლებითაც გადმოცემულია გარკვეული მოკვეთილი აზრი, მისი ნაწილი, ან შეგონება. ასეთ სიტყვათშეთანხმებებს ფრაზეოლოგიური ერთეულები ანუ ფრაზეოლოგიზმები ჰქვია“ (დლონტი, 1971)

ერთ-ერთი განმარტებით, „ფრაზეოლოგია არის სიტყვიერი შაბლონები, მზა სიტყვიერი კლიშეები, რომელნიც მექანიკურად მეორდებიან ერთნაირ შემთხვევებში“ (კოვი, 2008)

„საერთოდ მიღებულია, ფრაზეოლოგია ეწოდოს მეტყველების მყარ ქცევათა ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ენისათვის“. (Levinson/ლევინსონი, 2005)

ფრანგი მეცნიერი ალენ რეი ასე ახასიათებს ფრაზეოლოგიზმს: „იგი წარმოადგენს მთლიან, არამოტივირებულ ლინგვისტურ ნიშანს, რომელიც „თვითნებურია“ თავის

კომპონენტებთან მიმართებაში და წინასწარ სრულიად განუსაზღვრელი“ (რეი, 1977)

ფრაზეოლოგიური ერთეულის არსზე უფრო დაწვრილებით განსაზღვრებას იძლევა პ.

გირო, რომელიც ფრაზეოლოგიზმს გამსაზღვრავს „გამოთქმად, რომელიც შედგება

რამდენიმე სიტყვისაგან და რომლებიც ქმნიან სინტაქსურ და ლექსუკურ ერთობლიობას“

ამასთან ფრაზეოლოგიური ერთეულების დამახასიათებელ ნიშნად იგი თვლის:

1. ფორმისა და მნიშვნელობის ერთიანობას;

2. გრამატიკული ან ლექსიკური ნორმებიდან გადახრას;

3. განსაკუთრებულ მეტაფორულ მნიშვნელობას.

ფრაზეოლოგიური ერთეულების დანიშნულების შესახებაა საუბარი შემდეგ მოსაზრებაში:

„ფრაზეოლოგიური ერთეულები ასახავენ ხალხის დიდ, ცხოვრებისეულ გამოცდილებას,

მის სიბრძნეს, საზრიანობას, გომებამახვილობას, მის უნარს თვალ-ყური ადევნოს,

შეაჯამოს ბუნებასა და საზოგადოებაში მომხდარი ფაქტები თუ მოვლენები. მათში

აისახება ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ხალხის აზროვნების კონკრეტული,

აფორიზმული ხატი. ენის ამ ურთულეს ერთეულში კონდენსირებულია ამა თუ იმ

ხალხის კულტურისა და ფსიქოლოგიის რთული კომპლექსი, განუმერებელი ხერხი მისი

ხატოვანი აზროვნებისა“ (Skandera/სკანდერა, 2007) ამიტომ, რომ ენათმეცნიერები ენის

ფრაზეოლოგიურ ფონდს მიიჩნევენ ხალხის კულტურის, ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების

განსაკუთრებულ საგანმურად, რომელშიც აისახება განვლილი ეპოქის თავისებურებანი,

ადამიანური ურთიერთობები და სხვ.

ენის ხიბლი, თვითმყოფადობა, ლაკონურობა და დახვეწილობა სწორედ ფრაზეოლოგიურ

ერთეულებში აისახება. ფრაზეოლოგიური ერთეულები უნდა მოვიაზროთ, როგორც „ენის

მატარებლის კოლექტიური მეხსიერება, კულტურის სარკე, ხალხის ცხოვრების წესი“

ფრაზეოლოგიური ერთეულები მეტყველების განსაკუთრებული შესაძლებლობებია. მათ

წარმოშობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ექსტრალინგვისტური ფაქტორები.

ფრაზეოლოგიური ერთეულების მნიშვნელობა გამოხატავს რეალური სამყაროს საგანთა

თვისებებს და მიმართებებს. ცნობილია, რომ ფრაზეოლოგიური ერთეულები თავიანთი

დიდი ემოციური ძალის მეშვეობით სრულყოფილად გადმოსცემენ ადამიანის

განწყობილებასა და სულიერ მდგომარეობას. ისინი იმავდროულად მენტალური

მსოფლმხედველური თავისებურებების ყველაზე სრულყოფილად გამოხატვის

საშუალებას წარმოადგენენ და ენას ანიჭებენ ხატოვან, მხატვრულ-ინტელექტუალურ

ელფერს.

3.3. „კონფლიქტის“ რეპერტუარული ქსელის მარკერები თანამედროვე ინგლისურ ენაში

თანამედროვე ინგლისურ ენაში „კონფლიქტის“ კონცეპტის ლექსიკალიზაციისათვის

საჭირო ელემენტთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ისეთ თემატურ სივრცეთა არსებობა,

როგორცაა:

პრობლემები/სირთულეები - ურთიერთობები/კომუნიკაცია - შედეგი - უთანხმოება -ომი - მაღაღობა.

„CONFLICT” SCENARIO („კონფლიქტის“ სცენარი)

მოქმედების განმარტება: This frame consists of words that describe a hostile encounter between opposing forces, collectively conceptualizable as Sides) over a disputed Issue and/or in order to reach a specific Purpose.

1. He still wants to FIGHT Mike Tyson in about 8 months.
2. Dennis Andries's European cruiserweight title CLASH against Akim Tafer of France in Beausoleil last February has been voted as the EBU's fight of the year.

An unresolved question over which the two sides of a hostile encounter are in disagreement.

They had a DUST-UP over who was prettier .

Quite often it takes the form of a covert question of various sorts.

They FOUGHT over the right to own land.

მოქმედების მიზანი: The desired result of the outcome of the hostile encounter for the Side_1 or for all the Sides collectively. It may either directly refer to the state of affairs that is desired, e.g.

He DUELED with his former second to defend the honour of the man he had killed.

or it the state of affairs may be implicit in an (abstract or concrete) entity that they desire, e.g.

Rival Democratic presidential candidates Mr Bill Clinton and Mr Jerry Brown taunted each other at the weekend as mudslinging in the BATTLE for votes in tomorrow's crucial New York primary reached a new low.

მოქმედების მხარეები: One of two participants in a hostile encounter.

1. While the U.S.'s BATTLE with terrorist-harboring nations is far off.
2. One of two participants in a hostile encounter, usually the second mentioned.
3. While the U.S.'s BATTLE with terrorist-harboring nations is far off.
4. The jointly expressed sides in a hostile encounter.
5. They FOUGHT over the right to own land.

მოქმედების ხარისხი: The Degree to which an event occurs.

მოქმედების დესკრიფცია: A Depictive phrase describing the actor of an action.

მოქმედების ხანგრძლივობა: The amount of time for which a state holds or a process is ongoing.

მოქმედების ახსნა: The Explanation for which an event occurs.

მოქმედების ინსტრუმენტი: The Instrument with which an intentional act is performed.

მოქმედების მიზეზი: The body movement may be prompted by either some outside phenomenon or occurrence, or by an Internal Cause, the Agent's mental or emotional state. Internal Cause is expressed in a PP complement.

მოქმედების მანერა: Any expression which describes a property of the hostile encounter.

Descriptions of the intensity count as Manner expressions.

After Brundle's Jaguar took off like a scalded cat, it was Mass who hunted it down, and soon engaged it in a lurid BATTLE.

მოქმედების საშუალება: Means describes the way in which a side engages in a hostile encounter.

President Corazon Aquino of the Philippines is bracing herself for a legal BATTLE over her decision to allow the remains of the former president, Ferdinand Marcos, to be returned home from Hawaii for burial.

მოქმედების ლოკაცია: The location at which the hostile encounter takes place.

Following the BATTLE of Naseby in 1645.

მოქმედების შედეგი: The Result of an event.

მოქმედების თარიღი: The Time at which the hostile encounter occurs.

Following the BATTLE of Naseby in 1645 he died.

Lexical Units:

არაფრაზეოლოგიური ერთეულები: altercation.n, battle.n, battle.v, bout.n, brawl.n, brawl.v, bw.n, clash.n, clash.v, combat.n, conflict.n, confront.v, confrontation.n, cw.n, duel.n, duel.v, dust-up.n, engage.v, engagement.n, fight.n, fight.v, fighting.n, firefight.n, fistfight.n, gunfight.n, hostility.n, infighting.n, row.n, scuffle.n, scuffle.v, shootout.n, showdown.n, skirmish.n, skirmish.v, spat.n, squabble.n, stalemate.n, standoff.n, strife.n, struggle.n, struggle.v, tiff.n, tussle.n, war.n, war.v, warfare.n, wrangling.n

ნაშრომში შემოთავაზებულია ერთეულთა ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელი და საკმარისია ქსელის მარკერების იდენტიფიცირებისათვის:

“PROBLEM SCENARIO” („პრობლემის“ სცენარი)

განმარტება: An Experiencer is in an undesirable Situation, whose Explanation may also be expressed.

The insurers ended up in the BIND of having to pay 15 years' taxes.

He was in a bit of a PICKLE and make no mistake!

What a MESS we 're in now!

პრობლემის მქონე სუბიექტი: The Experiencer is in an undesirable Situation.

The insurers ended up in a BIND.

The company was definitely in dire straits from the dollar's inflation.

ლოკაცია: The location where the Situation occurs.

The TROUBLE in America is only going to get worse.

თარიღი: Time when the Situation is in effect.

Yesterday's PREDICAMENT was a little too exciting.

არაფრაზეოლოგიური ერთეულები: bind.n, fix.n, jam.n, mess.n, misfortune.n, pickle.n, pinch.n, plight.n, predicament.n, problem.n, scrape.n, trouble.n

“DIFFICULTY SCENARIO”(, სირთულის“ სცენარი)

განმარტება: An Experiencer has an easy or difficult time carrying out an Activity. The ease or difficulty associated with the Activity seems to often be associated with a prominent participant. However, we consider this impression to be due to the syntax and pragmatics of the relevant sentence constructions. The Degree of ease or difficulty is often specified as well as a set of Circumstances. A Parameter may be mentioned that indicates in which respect the Activity is judged to be easy or difficult.

1. John is EASY to please.
2. It is EASY to get Alex annoyed.
3. Smithers is very TOUGH for me to please.
4. VWs are EASY to repair.
5. The dating of western sculpture is DIFFICULT.
6. In that kind of wind the course is physically very TRICKY.
7. The last question on the exam was HARD.
8. The last one was a HARD question to answer.

ქმედება: This Frame Element marks expressions indicating the Activity that the Experiencer finds difficult or easy. In many cases, the relevant Activity has to be inferred from the context.

1. The climb was DIFFICULT.
2. That question was DIFFICULT.
3. That question was DIFFICULT to answer.

მოქმედი სუბიექტი: This Frame Element marks expressions that indicate which person judges carrying out the Activity to be easy or difficult.

The geology question on the exam was HARD for me.

გარემოებები: This Frame Element marks expressions that indicate a set of conditions in which the Activity is being experienced and which influence the Experiencer's perception of how easy or difficult the Activity is.

In this weather the climb turned out to be very DIFFICULT.

ხარისხი: This Frame Element marks expressions that indicate the Degree of difficulty that the Experiencer has in carrying out the Activity.

Charlie is very TOUGH for Lulu to please.

პარამეტრი: Marks expressions that indicate a respect in which the Activity is judged easy or difficult to carry out by the Experiencer.

The problem involves a mathematically DIFFICULT Fourier transformation.

თარიღი: The time at which the Activity takes place.

ლიკაცია: The place where the action takes place.

არაფრაზეოლოგიური ერთეულები: a bastard.n, a bitch.n, a breeze.n, a cinch.n, a doddle.n, a pain in the neck.n, a pain.n, a piece of cake.n, a snap.n, a walk in the park.n, arduous.a, challenge.n, challenging.a, child's play.n, difficult.a, difficulty.n, ease.n, easy.a, hard.a, impossible.a, like taking candy from a baby.adv, near thing.a, no picnic.n, tough.a, tricky.a, trivial.

თემატური ჯგუფი: "PROBLEMS-DIFFICULTIES" (პრობლემები-სირთულეები)

achilles heel; alarm bells ringing; asking for trouble; back to the wall; ball and chain; bane of one's life; bite off more than you can chew; bite off more than you can chew; on the blink; break the back of the beast; can of worms; carry the can; catch 22; chill wind; cloud on the horizon; come to a head; cross to bear; cross that bridge when we come to it; crux of the matter; dead man walking; dodge a bullet; elephant in the room; fat hits the fire; get to the bottom of; go haywire; go pear-shaped; go through the mill; grasp/clutch at straws; hang out to dry; hang out to dry; in dire straits; in the lurch; in over your head; juggle frogs; last resort; (see) light at end of tunnel; millstone around your neck; be murder; necessary evil; one's number is up; ostrich strategy/politics; out of sync; out of whack; paper over the cracks; pass the buck; in a pickle; (no) quick fix; put on a brave face; saved by the bell; put a spanner in the works; spell trouble; spiral out of control; on a sticky wicket; stir up a hornet's nest; stop the rot; stumbling block; tar baby; teething problems; thorny issue; throw it over the wall; tide over; tight spot; tip of the iceberg; Trilemma; twist in the wind; unmitigated disaster; uphill battle; vicious circle; wave a dead chicken; wheels fall off; yoke around neck.

1. achilles heel (აქილევის ქუსლი)

“Listen, I don't care what you say about my race, creed, or religion, Fatty, but don't tell me I'm not sensitive to beauty. That's my Achilles' heel, and don't you forget it. To me, everything is beautiful. Show me a pink sunset, and I'm limp, by God. Anything. Peter Pan. Even before the curtain goes up at Peter Pan I'm a goddamn puddle of tears.” J.D. Salinger, Franny and Zooey

“When Luke had descended into the River Styx, he would've had to focus on something important that would hold him to his mortal life. Otherwise he would've dissolved. I had seen Annabeth, and I had a feeling he had too. He had pictured that scene Hestia showed me—of himself in the good old days with Thalia and Annabeth, when he promised they would be a family. Hurting Annabeth in

battle had shocked him into remembering that promise. It had allowed his mortal conscience to take over again, and defeat Kronos. His weak spot—his Achilles heel—had saved us all” Rick Riordan, *The Last Olympian*

2. asking for trouble (ბიფათს ეძებდე)

“In Ireland, you go to someone's house, and she asks you if you want a cup of tea. You say no, thank you, you're really just fine. She asks if you're sure. You say of course you're sure, really, you don't need a thing. Except they pronounce it ting. You don't need a ting. Well, she says then, I was going to get myself some anyway, so it would be no trouble. Ah, you say, well, if you were going to get yourself some, I wouldn't mind a spot of tea, at that, so long as it's no trouble and I can give you a hand in the kitchen. Then you go through the whole thing all over again until you both end up in the kitchen drinking tea and chatting.

In America, someone asks you if you want a cup of tea, you say no, and then you don't get any damned tea.

I liked the Irish way better.” C.E. Murphy, *Urban Shaman*

3. back to the wall (კუთხეში მიმწყვდეული)

“Yes, I have a driver's license.”

I leaned back against the wall, sighing. "Man, that must be so cool."

"It ranks right up there with lockers. In fact, sometimes I put my license inside my locker, and it's so cool I worry that the whole thing might explode with the sheer coolness of it all.” Kiersten White, *Paranormalcy*

4. ball and chain (ხელფეხშეკრული)

“I blushed when he stepped behind me, encircling my waist with his arms.

His lips brushed against my ear. “I believe the answer that will not get me in trouble with you is: the happiest day of my life. Or something along those lines. Definitely not the end of my carefree days or when I get a ball and chain. Hmmm, I'm just realizing that I'm going to have to buy you birthday and anniversary presents at the same time. What a pain.” Andrea Cremer, *Nightshade*

“So there existed fathers who dealt in the present, who didn't drag ancient history around like a ball and chain. So there were men who were not neck-deep and sinking in the quagmire of the past.” Zadie Smith, *White Teeth*

“A standing prick hath no conscience. And if that standing prick is attached to Bruce Robertson then it hath less than no conscience. You can't afford a conscience in this life, that has become a luxury for the rich and a social ball and chain for the rest of us. Even if I wanted one, which I certainly do not, I wouldn't have the faintest idea as how to go about getting one.” Irvine Welsh, *Filth*

“The fear of loneliness has been like a ball and chain restraining ambition, as much of an obstacle to a full life as persecution, discrimination or poverty. Until the chain is broken, freedom, for many, will remain a nightmare.” Theodore Zeldin, *An Intimate History Of Humanity*

“The story is nothing like what you first thought it would be. But so what? It's better - richer, deeper, truer - than the original idea. The idea did its work: it got you thinking. After that, if you feel bound to stick to it no matter what, that idea becomes a ball and chain that you drag with you through the whole process.” Orson Scott Card, *How to Write Science Fiction & Fantasy*

“My mother says when I get older my dusty hair will settle and my blouse will learn to stay clean, but I have decided not to grow up tame like the others who lay their necks on the threshold waiting for the ball and chain.

In the movies there is always one with red lips who is beautiful and cruel. She is the one who drives the men crazy and laughs them all away. Her power is her own. She will not give it away.

“Now, that,” said Sophy, “I am very glad to know, because if ever I should desire to please you I shall know just how to set about it. I daresay I shan't, but one likes to be prepared for any event, however unlikely.”

He turned his head to look at her, his eyes narrowed, and their expression was by no means pleasant.

“Are you thinking of being so unwise as to cross swords with me?” he demanded. “I shan't pretend to misunderstand you, Cousin, and I will leave you in no doubt of my own meaning! If you imagine that I will ever permit that puppy to marry my sister, you have yet something to learn of me!”

“Pooh!” said Sophy. “Mind your horses, Charles, and don't talk fustian to me.”

Georgette Heyer, *The Grand Sophy*

4. Fight an uphill battle (არასასურველ პირობებში ბრძოლა)

“Why is it that good always has to fight an uphill battle?”

I thought for a moment, then said, "I don't know. Maybe that's the point. Good things are higher up.”

Richard Paul Evans

5. If you want peace, (you must) prepare for war (კარგად შეირაღებული)

“It is the struggle of adversarial forces that generates the logic of strategy, which is always and everywhere paradoxical, and as such is diametrically opposed to the commonsense, linear logic of

everyday life. Thus, we have, for example, the Roman *si vis pacem, para bellum*, if you want peace, prepare for war, or tactically, the bad road is the good road in war, because its use is unexpected—granting surprise and thus at least a brief exemption from the entire predicament of a two-sided human struggle.” Edward N. Luttwak, *The Grand Strategy of the Roman Empire*

6. go to war (over someone or something) (ომის დაწყება)

“You know the world is going crazy when the best rapper is a white guy, the best golfer is a black guy, the tallest guy in the NBA is Chinese, the Swiss hold the America's Cup, France is accusing the U.S. of arrogance, Germany doesn't want to go to war, and the three most powerful men in America are named "Bush", "Dick", and "Colin." Need I say more?” Chris Rock

7. mailed fist (საომარი ძალა)

“The maester had taught him all the banners: the mailed fist of the Glovers, silver on scarlet; Lady Mormont's black bear; the hideous flayed man that went before Roose Bolton of the Dreadfort; a bull moose for the Hornwoods; a battle-axe for the Cerwyns; three sentinel trees for the Tallharts; and the fearsome sigil of House Umber, a roaring giant in shattered chains.” George R.R. Martin, *A Game of Thrones*

“It is a sequence familiar in the capitals of other great empires: the extreme inequality created as loot from abroad pours in; the corruption of voting systems and of representative institutions; hoarse cries for change from the streets; the undertow of violence; the mailed fist as the army strides in to ‘clean things up’. The imbalance of power created by empire, unbalances the empire itself.” Andrew Marr, *A History of the World*

8. war zone (საომარი ზონა)

The battle for our lives, and the lives and souls of our children, our husbands, our friends, our families, our neighbors, and our nation is waged on our knees. When we don't pray, it's like sitting on the sidelines watching those we love and care about scrambling through a war zone, getting shot at from every angle. When we do pray, however, we're in the battle alongside them, approaching God's power on their behalf. If we also declare the Word of God in our prayers, then we wield a powerful weapon against which no enemy can prevail.” Stormie Omartian, *The Power of a Praying® Woman Bible: Prayer and Study Helps* by Stormie Omartian

“We are all the walking wounded in a world that is a war zone. Everything we love will be taken from us, everything, last of all life itself. Yet everywhere I look, I find great beauty in this battlefield, and grace and the promise of joy.” Dean Koontz, *Odd Apocalypse*

„ომის“ თემატური სივრცის კონტრადიქტულ სივრცეს, წარმოადგენს

„მშვიდობა/თანხმობა“, რომელიც ობიექტივირებულია შემდეგი ერთეულებით:

1. make one's peace with (მეგობრული ურთიერთობის დამყარება)

“You can accept or reject the way you are treated by other people, but until you heal the wounds of your past, you will continue to bleed. You can bandage the bleeding with food, with alcohol, with

drugs, with work, with cigarettes, with sex, but eventually, it will all ooze through and stain your life. You must find the strength to open the wounds, stick your hands inside, pull out the core of the pain that is holding you in your past, the memories, and make peace with them” Iyanla Vanzant, Yesterday, I Cried

2. no strings attached (ყოველგვარი ზედმეტი გართულებების გარეშე)

“Love is the ultimate outlaw. It just won't adhere to any rules. The most any of us can do is to sign on as its accomplice. Instead of vowing to honor and obey, maybe we should swear to aid and abet. That would mean that security is out of the question. The words "make" and "stay" become inappropriate. My love for you has no strings attached. I love you for free.” Tom Robbins, Still Life with Woodpecker

3. gentleman's agreement (ჯენტლმენტა შეთანხმება/სიტყვიერი შეთანხმება)

“Inigo was in despair. Hard to find on the map (this was after maps) not because cartographers didn't know of its existence, but because when they visited to measure its precise dimensions, they became so depressed they began to drink and question everything, most notably why anyone would want to be something as stupid as a cartographer. It required constant travel, no one ever knew your name, and, most of all, why bother? There grew up, then, a gentleman's agreement among mapmakers of the period to keep the place as secret as possible, lest tourists flock there and die. (Should you insist on paying a visit, it's closer to the Baltic States than most places.)” William Goldman, The Princess Bride

“Up to then there had been something of a gentleman's agreement among those who might be called The Good Journalists of Washington that the Kennedy Administration was one of excellence, that it was for good things and against bad things, and that when it did lesser things it was only in self-defense, and in order that it might do other good things.” David Halberstam, The Best and the Brightest

სხვადასხვა შინაარსობრივი განსაზღვრულობის მქონე ერთეულებში ინტეგრირებულ ელემენტთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ იდიომის სტაბილურობასთან მიმართებაში აღინიშნება ორი ტიპის შეზღუდვა:

1. იდიომში შეუძლებელია რაიმე დამატებითი კომპონენტების ჩართვა;
2. იდიომი მორფოლოგიურად და სინტაქტიკურად მკვეთრად განსაზღვრულია.

რაც შეეხება იდიომის სტრუქტურულ დისიმილარობას, იგი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ფრაზეოლოგიური ერთეული უნდა იქნეს აღქმული, როგორც მზა ერთეული, რომელიც თავისთავად ერგება წინადადების სტრუქტურას კონკრეტული სინტაქტიკური ფუნქციის მეშვეობით.

მნიშვნელოვანია იდიომატური ერთეულის კომპოზიციურობა– არაკომპოზიციურობის საკითხი. გენერატიული ლინგვისტიკის თანახმად, იდიომი არაკომპოზიციურია, ანუ

იდიომის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტთა მნიშვნელობის ჯამიდან, იგი უნდა აღვიქვათ, როგორც „ურღვევი“ შესიტყვების ფორმის მქონე ლექსიკური ერთეული და მიუხედავად იმისა, რომ სტრუქტურულად იდიომა პოლილექსემურია, სემანტიკურად იგი მაინც ერთ მნიშვნელობას გადმოგვცემს. ასეთ ერთეულთა უმეტესობა ხატოვანი გადატანითი მნიშვნელობის მატარებელია და ემყარება მეტაფორის სემანტიკურ მიმართებებს. სწორედ იდიომის მეტაფორული ბუნება განაპირობებს მის იდიომატურობას.

ტრადიციული ენათმეცნიერების ფარგლებში იდიომა განიხილება, როგორც შესიტყვების ფორმის მქონე „ურღვევი“ ერთიანობა, ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან. ენათმეცნიერებაში კოგნიტური პერსპექტივის დამკვიდრებამდე იდიომა აღიქმებოდა როგორც არაკომპოზიციური ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო არბიტრარული და არანაირი საერთო არ უნდა ჰქონოდა ერთეულის კონსტიტუენტთა მნიშვნელობასთან.

აღნიშნული შეხედულების საწინააღმდეგოდ, კოგნიტური ლინგვისტიკის თანახმად, იდიომა ძალიან დიდი ნაწილში ვლინდება კომპოზიციურობა, ანუ კონსტიტუენტთა მნიშვნელობა პირდაპირ უკავშირდება იდიომის მთლიანურ მნიშვნელობას. კავშირს კონსტიტუენტთა პირდაპირ და ხატოვან მნიშვნელობებს შორის იწვევს მოტივაცია, რომელიც ვლინდება ენობრივი მომხმარებლის გონებაში არაცნობიერის დონეზე არსებულ, კონცეპტუალურ სტრუქტურათა მეშვეობით. იდიომის კომპოზიციურობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ იდიომის კონსტიტუენტთა მნიშვნელობა შესაძლოა, თავისუფლად გადმოგვცემდეს მოცემული იდიომით აღნიშნულ კონცეპტს.

ფრაზეოლოგიური ერთეულისადმი ტრადიციულ და კოგნიტურ მიდგომებს შორის არსებული განსხვავება შემდეგში მდგომარეობს:

1. ტრადიციული მიდგომის ფარგლებში ფრაზეოლოგიური ერთეული ეწოდება სიტყვათა ისეთ მყარ შესიტყვებას, რომლის მნიშვნელობა მისი შემადგენელი კომპონენტების მნიშვნელობამდე არ დაიყვანება და რომელიც ფუნქციონირებს ყოველგვარი წესებისა და რეგულაციების გარეშე;
2. კოგნიტური მიდგომის თანახმად კი, ფრაზეოლოგიური ერთეული ორგანიზებული, სტრუქტურირებული და ლოგიკურად მოწესრიგებული ფენომენია.

თანამდეროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ მახასიათებელს წარმოადგენს ფრაზეოლოგიზმისადმი მზარდი ინტერესი. ინტერესის ზრდა განპირობებულია იმ ტენდენციით, რომელიც გულისხმობს ენის, როგორც მენტალური ფენომენის, აღქმა-გააზრების მიმართულეზას.

ა. ქსელის მარკერები

ქსელი გვესმის როგორც მოცულობითი, მრავალკომპონენტიანი კონსტრუქტი, ინფორმაციის „კრებული“, თემატურად მთლიანობრივი, სტერეოტიპული, სტატიკური სიტუაციის შესახებ არსებული ცოდნა, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან გარკვეული სემანტიკური, ასოციაციური და კონცეპტუალური მიმართებების მქონე სეგმენტებს. სეგმენტთა ერთობლიობა ქმნის ქსელის მიერ წარმოდგენილი ფენომენის „გაგების“ საფუძველს. „გაგება“ ხორციელდება დეტალიზაცია/კონკრეტიზაციით. უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს სხვადასხვა სეგმენტის მიერ ერთი და იმავე ელემენტის გამოყენება, რაც იძლევა სხვადასხვა წყაროდან მოძიებული ინფორმაციის კოორდინირების შესაძლებლობას. ერთმანეთთან კავშირში მყოფი თემატური სივრცეები ერთიანდება სისტემაში - ქსელში.

რამდენადაც თემატური სივრცეები შეიძლება, წარმოვიდგინოთ ქსელის სახით, რომელიც შედგება სეგმენტებისა და მათ შორის არსებული კავშირებისაგან, ამდენად თითოეული სეგმენტი უნდა იყოს შევსებული თავისი „მისიით“ - დავალებით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული ფენომენის მარკერებით.

ქსელში შეიძლება, გამოიყოს რამდენიმე, ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი სივრცე. ზედა დონის (ბირთვული) სივრცე თავისი ბუნებით ზოგადია - იგი ყოველთვის „სწორია“-ტიპურია კონკრეტული ფენომენისათვის. ქსელის ბირთული სივრცე არ ხასიათდება „ალტერნატიულობით“ - მისი არსებობა აუცილებელია ქსელში.

ქვედა დონის (პერიფერიული) სივრცე ხასიათდება „ალტერნატიულობით“ - იგი შეიძლება არსებობდეს და არც არსებობდეს ქსელში.

შესაბამისად, ქსელი, რომელიც მოიცავს სამყაროს შესახებ არსებულ ცოდნას, წარმოადგენს მეტ-ნაკლებად უნივერსალურ ფრაგმენტთა ერთობას.

ქსელის - სამყაროს შესახებ არსებული ცოდნის - „შენება“ წარმოადგენს რაიმე სახის ქცევის ან მოვლენის აღქმის ტიპური სტრუქტურის აგებას, რომელიც მოიცავს ქცევის ან მოვლენის სრულყოფილი გააზრებისათვის საჭირო აუცილებელ და საკმარის ელემენტებს.

ადამიანის მეხსიერებაში არსებულ თემატურ სივრცეთა არსენალიდან რეალობისათვის მაქსიმალურად ადეკვატური თემატური სივრცის შერჩევის პროცესი საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ რეალობის ადეკვატურ აღქმას. (Toulmin/ტოულმინი, 1972) თემატური სივრცე „მორგებულია“ რეალობას თუ იგი ინტეგრირებულია უფრო მსხვილ თემატურ სივრცეში.

აღქმისა და მსჯელობის პროცესში საკვანძო სიტყვები, იდეები და ხატის ელემენტები მეხსიერებიდან სხვადასხვა თემატურ სივრცეთა ერთობას იწვევენ. შესაძლოა, აღმოჩნდეს, რომ მეხსიერების არსენალიდან თავდაპირველად შერჩეულ სივრცეთა ნაწილი რეალობას არ შეესაბამება. ასეთ შემთხვევაში ხდება ნაკლებ ადეკვატურ სივრცეთა ჩანაცვლება უფრო ადეკვატურით. კონკრეტულ შემთხვევაში „ადეკვატურობა“ გულისხმობს ზემოხსენებულ პირობათა დაკმაყოფილებას.

ცოდნის სტრუქტურირების ფაზების გამოყოფა საკმაოდ პირობითია. სტრუქტურირების მეთოდოლოგია ახლოსაა რთული სისტემების თანამედროვე თეორიასთან. რთული სისტემების დაპროექტება და ინფორმაციის სტრუქტურირების მეთოდები ტრადიციულად იერარქიულ მიდგომას იყენებდნენ, როგორც ფორმალურად აღწერილი სისტემის დონეებად (ბლოკებად ან მოდულებად) დანაწევრების მეთოდოლოგიურ ხერხს. იერარქიის უფრო მაღალ დონეებზე გამოიყენება მეტ-ნაკლებად დეტალიზებული წარმოდგენები, რომლებიც ასახავენ დასაპროექტებელი სისტემის მხოლოდ ყველაზე ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებს. მომდევნო დონეებზე დეტალიზების ხარისხი იზრდება.

თემატურ სივრცეთა ქსელი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ იერარქიზირებულ, ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციის მომცველ ერთეულს, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან. საბოლოო ჯამში, თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირება მიზნად ისახავს ცოდნის პირამიდის აგებას, რომელიც გულისხმობს ცნებათა იერარქიულ კონსტრუქტს, რომელშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამალღება. ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც პირამიდის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონეებს შორისაც. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას. მიმართების ერთ-ერთ ასეთ ტიპს წარმოადგენს ექსტენსიონალისა და ინტენსიონალის კავშირი. ექსტენსიონალი არის ის ძირითადი ცნებები და მიმართებები, რომლებიც ახასიათებენ ობიექტების, საგნებისა და მოვლენების

სიმრავლეს, ხოლო ინტენსიონალი კი - ცნებებისა და მიმართებების ამ სიმრავლის თითოეული ელემენტის კონკრეტული მახასიათებლები.

ვალიდური თემატური სივრცეები ქმნის გარკვეულ რეპერტუარულ ბადეს, რომელიც წარმოადგენს ცოდნის ერთგვარ მატრიცას. განსაზღვრება "რეპერტუარული" ნიშნავს, რომ ელემენტების შერჩევა ხდება განსაზღვრული წესების გათვალისწინებით: ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ რომელიმე ერთ სფეროს, ყველანი ერთად კი აზრობრივად (შინაარსობრივად) იყვნენ დაკავშირებული.

თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირების პროცესი ეყრდნობა როგორც ლოგიკურ და ასოციაციურ აზროვნებას, ისე გეშტალტ-ფსიქოლოგიას.

ლოგიკური აზროვნების ფარგლებში აქტივიზირდება ისეთი ოპერაციები, როგორცაა: განსაზღვრება; შედარება და განსხვავება; ანალიზი; აბსტრაქცირება; განზოგადება; კლასიფიკაცია; კატეგორიზაცია.

ასოციაციური აზროვნების ფარგლებში იქმნება ზოგადი ცნებებით დაკავშირებულ იდეათა ჯაჭვი, რომელიც მოიცავს: სხვადასხვა კავშირის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ასოციაციებს; წარსული გამოცდილების გახსენებას; ჩვეულ რეაქციებს და სხვა.

რაც შეეხება ქსელში ინდივიდუალური და კოლექტიური ცნობიერების ელემენტთა დამოკიდებულებას, დაბეჯითებით შეიძლება, ითქვას, რომ ქსელი წარმოადგენს კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერებით ნიშანდებულ ელემენტთა თანაარსებობის სივრცეს.

ქსელი, როგორც კოლექტიური ცნობიერებისათვის ტიპურ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა კომპოზიცია, ეფუძნება ინდივიდუალური ცნობიერებისათვის დამახასიათებელ იდეათა, რწმენათა და გრძნობათა ანალიზის შედეგად გამოვლენილ ზოგად კონოზომიერებებს.

ქსელის აგების პროცესი გულისხმობს ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა თანაფარდობის დეტალურ ანალიზს.

შეიძლება ითქვას, რომ ქსელის ფორმირების პროცესი შეიძლება განვიხილოთ „ურთიერთქმედების რიტუალის“ ერთგვარ ფორმად, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური ცოდნისა და გამოცდილების კოლექტიურ ცოდნათა და გამოცდილებად გარდაქმნის პროცესს.

ქსელის კონტინუუმის კვლევა გულისხმობს „შემთხვევებისა“ და „ინტერპრეტაციების“ ანალიზს ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით. კანონზომიერებები

ქსელის ელემენტთა მარგანიზებული ძალაა. სწორედ ეს ძალა გარდაქმნის ქსელის ინდივიდუალურ პლანს ზეინდივიდუალურად.

ადამიანის კოგნიცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მენტალურ სივრცეთა ურთიერთგადაკვეთაზე. ამასთანავე, ადამიანის კოგნიცია მოქმედებს ენისგან დამოუკიდებლად: ველთა ურთიერთგადაფარვით მიღებული ლინგვისტური ერთეული სხვა არაფერია, თუ არა ღრმა კოგნიტური სტრუქტურის ზედაპირული მანიფესტაცია. კონცეპტუალური ანალოგიით შექმნილი კავშირი ქმნის მენტალურ სივრცეთა ქსელს რომელიც მოიცავს სხვადასხვა კოგნიტურ ველში შემავალი ინფორმაციით სტრუქტურირებულ და ნაზავ სივრცეს. სივრცის სტრუქტურა საერთოა ინტეგრაციულ ქსელში შემავალი ყველა სივრცისათვის. იღებს რა ელემენტებს შემავალი სივრცეებიდან, ნაზავი სივრცის სტრუქტურა ავითარებს ახალ სტრუქტურას.

მენტალური სივრცე წარმოადგენს „კონცეპტუალურ ნაერთს“, რომელიც სტრუქტურირდება იმის მიხედვით, თუ რის შესახებ ვფიქრობთ და ვსაუბრობთ კონკრეტულ სიტუაციაში.

კონცეპტუალური ანალოგიზაციის პროცესი იყოფა სამ ეტაპად:

1. პირველი ეტაპი მოიცავს ცოდნისეულ ფრეიმებს, რომლებიც ლატენტურ მდგომარეობაშია გრძელვადიან მეხსიერებაში. აღნიშნული ფრეიმები აქტიურდება მუშა მეხსიერებაში ფიზიკური, ლინგვისტური და კონტექსტუალური ბიძგების მეშვეობით.

აქტივაცია ტემპორალურ კორელაციაში იმყოფება ფიქრის, საუბრისა და მოქმედების მომენტსა და კონტექსტთან. მუშა მეხსიერებაში გააქტიურებულ მენტალურ სივრცეებს ეწოდება „შემავალისივრცეები“, რომლებიც უკავშირდებიან როგორც სქემატურ, ისე კონკრეტულ გრძელვადიან ცოდნას.

2. მეორე ეტაპზე ერთმანეთს უკავშირდება „შემავალი“ სივრცეები, რის შედეგადაც ვიღებთ ორი სახის კავშირს.

პირველი ტიპის კავშირი, რომელიც მყარდება „შემავალ“ სივრცეებს შორის, ხასიათდება მსგავსი ერთეულების კორელაციით, ხოლო მეორე ტიპის კავშირისას, იქმნება ახალი მენტალური სივრცე – „ნაზავი სივრცე“ – სხვადასხვა მენტალური სივრცის ელემენტებისა და მიმართებების სელექციური პროექციით.

3. მესამე ეტაპზე მიღებულ „ნაზავ მენტალურ სივრცეში“ კონცეპტუალური სტრუქტურა ყალიბდება კომპოზირებისა და საბოლოო ფორმირების შედეგად.

აღნიშნული პროცესების შედეგად გენერირებული სტრუქტურა, წარმოადგენს ახალ სტრუქტურას.

კონცეპტუალური ანალოგიზაციის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მნიშვნელობის კონსტრუირება გულისხმობს სხვადასხვა მენტალური სივრცის სტრუქტურათა გაერთიანებას, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე სტრუქტურათა შემადგენელი ელემენტების უბრალო ჯამი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ კონტარსირება/ანალოგიზაციის თანარსებობისა და ურთიერთდაპირისპირებულთა ერთიანობის აუცილებლობის აღიარება უზრუნველყოფს თემატურ სივრცეთა ობიექტური და რაციონალური ქსელის კონსტრუირებას.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა მარკერებით უნდა ხასიათდებოდეს ობიექტური და რაციონალური ქსელი?

სრული პასუხისმგებლობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქსელი, როგორც მრავალგანზომილებიანი ფენომენის ინტერპრეტაციათა რთული სისტემა, ობიექტური და რაციონალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სინამდვილეს ჰგავს.

კვლევის პროცესში გარკვეულ „ტრაგიკულ“ კანონზომიერებად იქცა, რომ ერთ შეკითხვაზე გაცემული პასუხი მომდევნო შეკითხვას ბადებს.

შემდეგი შეკითხვა კი ასე ჟღერს: რას ვგულისხმობთ „სინამდვილესთან მსგავსებაში“? თემატურ სივრცეთა ქსელი, როგორც ღია კონსტრუქტი, „სინამდვილის მსგავსია“, თუ იგი:

1. ასახავს ემპირიულ მოცემულობას;
2. მუდმივად ფორმირდება და იმავდროულად, ძალუძს იმ „ხატთა სამყაროს“ ფორმირება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

თუ აღნიშნულ მოსაზრებებს გავერთიანებთ, მივიღებთ შემდეგ დებულებას: თემატურ სივრცეთა ქსელი „სინამდვილის მსგავსია“, თუ იგი წარმოადგენს სინამდვილის მენტალური მოდელს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქსელის მეშვეობით შესაძლებელია მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ახსნა, მოვლენათა პროგნოზირება, ასევე ადამიანის გრძნობითი და რაციონალური გამოცდილების ორგანიზება.

მოდით, დავუბრუნდეთ მსგავსთა სხვაობისა და განსხვავებულთა მსგავსების არსს. ჩვენი კვლევის ფარგლებში ამ პრობლემის არსს წარმოადგენს მიმართება ისეთ ელემენტებს, შორის როგორცაა:

1. კონცეპტი და სიტყვა;

2. კონცეპტი და მნიშვნელობა;
3. კონცეპტუალური სფერო და ენის სემანტიკური სივრცე.

რაც შეეხება კონცეპტისა და სიტყვის მიმართების საკითხს, კვლევის ამ ეტაპზე ობიექტურ დასკვნათა სტატუსის მინიჭება მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი დებულებებისათვის.

1. კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ განიხილება კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობად. ვერბალიზაციას შესაძლოა, არ დაექვემდებაროს როგორც მთელი კონცეპტი, ისე მისი ცალკეული აზრობრივი ნაწილი. ნებისმიერი ენობრივი ნიშანი წარმოადგენს კონცეპტს, მაგრამ იგი წარმოადგენს კონცეპტს არა სრულად - ენობრივი ნიშანი თავისი მნიშვნელობით წარმოადგენს რამდენიმე კონცეპტუალურ თვისებას. და მაინც, კონცეპტი მთელი თავისი შინაარსის სისრულით შესაძლოა გამოიხატოს მხოლოდ ენობრივ საშუალებათა ერთობლიობით - სიტყვა წარმოადგენს კონცეპტუალური ცოდნის „გასაღებს“. კონცეპტის ენობრივი გამოხატულება, მისი რეგულარული ვერბალიზაცია უზრუნველყოფს კონცეპტის სტაბილურობას, მდგრადობასა და ცნობადობას;
2. კონცეპტსა და მნიშვნელობას შორის არსებობს როგორც მსგავსება (ორივე ასახვას სინამდვილეს) ისე განსხვავებაც (კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების). ლექსიკური მნიშვნელობის კომპონენტები გამოხატავენ ნიშნად კონცეპტუალურ თვისებებს, მაგრამ არა სრულად. კონცეპტი უფორ ფართოა ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა;
3. ენის სემანტიკური სივრცის ელემენტთა შორის არსებული კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში შემავალ კონცეპტთა მიმართებებს. ენის სემანტიკური სივრცე კონცეპტოსფეროს ის ნაწილია, რომელშიც იღებს გამოხატულება ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით. გარკვეული თვალსაზრისით, ენის სემანტიკური სივრცე და კონცეპტოსფერო იგივეობრივი ფენომენებია. მათი იგივეობრიობა გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ორივე მათგანი აზროვნებასათანა დაკავშირებული. მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავება კი შემდეგში მდგომარეობს: ენობრივი მნიშვნელობა, როგორც სემანტიკური სივრცის ელემენტი, მიბმულია ენობრივ ნიშანთან, ხოლო კონცეპტი კი, როგორც კონცეპტოსფეროს ელემენტი, არ არის მიბმული ენობრივ ნიშანთან.

კონცეპტუალური სფერო შეიძლება იყოს და არც იყოს გამოხატული ენობრივი ნიშნით - იგი შესაძლოა, გამოიხატოს ალტერნატიულ ნიშანთა სისტემით. და ბოლოს, მონაცემთა ანალიზი იძლევა დასახული მიზნის მიღწევის პროცესის თანმიმდევრულობისათვის უმნიშვნელოვანესი დებულებების ჩამოყალიბების შესაძლებლობას. ეს დებულებები კი შემდეგნაირად ჟღერს:

კვლევის სემანტიკურ-კოგნიტური მიმართულება გულისხმობს სემანტიკურ და კოგნიტურ პროცესთა შორის არსებული მიმართების კვლევას. ადამიანის ცნობიერებაში არსებული კონცეპტუალური სფერო ცვლადია და განხლებადია დროსა და სივრცეში. იგი გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ის ნაწილი, რომელიც გამოხატულია ენობრივი საშუალებებით;

ადამიანის კონცეპტოსფეროში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ ენობრივ ნიშანთა სემანტიკის შესწავლის გზით. რამდენადაც სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში, კონცეპტი გააზრებულია ენობრივი მნიშვნელობის პრიზმაში;

კონცეპტის ობიექტივიზაციისათვის საჭირო ენობრივ საშუალებათა ერთობლიობა წარმოადგენს კონცეპტის ნომინაციურ ველს.

ერთმანეთთან კავშირში მყოფი თემატური სივრცეები ერთიანდება სისტემაში - ქსელში. თითოეული სემანტი შევსებულია თავისი „მისიით“ - დავალებით, სხვა სიტყვებით, კონკრეტული ფენომენის მარკერებით.

ქსელში გამოიყოფა რამდენიმე, ერთმანეთთან იერარქიულ მიმართებაში მყოფი სივრცე. ბირთვული სივრცე თავისი ბუნებით ზოგადია - იგი ყოველთვის „სწორია“-ტიპურია კონკრეტული ფენომენისათვის. ქსელის ბირთვული სივრცე არ ხასიათდება „ალტერნატიულობით“ - მისი არსებობა აუცილებელია ქსელში.

პერიფერიული სივრცე ხასიათდება „ალტერნატიულობით“ - იგი შეიძლება არსებობდეს და არც არსებობდეს ქსელში.

იერარქიის უფრო მაღალ დონეებზე გამოიყენება მეტ-ნაკლებად დეტალიზებული წარმოდგენები, რომლებიც ასახავენ დასაპროექტებელი სისტემის მხოლოდ ყველაზე ზოგად მახასიათებლებსა და თავისებურებებს. მომდევნო დონეებზე დეტალიზების ხარისხი იზრდება.

ნაშრომში კონსტრუირებულ ქსელში ფიქსირებული რეპრეზენტაციის ფორმათა ნუსხა შემდეგნაირად გამოიყურება:

1. რეპრეზენტაციის ფორმა, რომელიც ახასიათებს არა ერთ ინდივიდუალურ ობიექტს, არამედ ამ ცნებასთან მიკუთვნებულ მრავალ ობიექტს;
2. ცნებები რეპრეზენტირებულია არიან შესაბამისი ობიექტების ან ობიექტების კლასების სიმრავლის სახით, რაც გულისხმობს ცნებების მრავლობითი რეპრეზენტაციის მოდელის არასებობას;
3. სტიმულის ცნებასთან მიკუთვნება ხორციელდება ამ უკანასკნელის სიმრავლის ელემენტებთან თანმიმდევრული შედარებების გზით;
4. ობიექტებს შორის არსებული სტრუქტურული კავშირები მთელი სიმრავლის გამაერთიანებელ რეპრეზენტაციების აღმოცენებას განაპირობებს;
5. ობიექტების სიმრავლის რეპრეზენტაცია ხდება ერთი კოგნიტური ერთეულის ფორმით, რაც შესაძლებელს ხდის ახალი ობიექტების ცნებით იდენტიფიკაციას;
6. ქსელი მოიცავს არა ცალკეული ობიექტებს, არამედ მათი „პროტოტიპულ წარმომადგენელს“;
7. პროტოტიპებში რეპრეზენტირებულია გარკვეული კლასის ყველა ობიექტისათვის დამახასიათებელი ტიპური თავისებურებები;
8. კლასის ყველაზე ტიპიური წარმომადგენელი თვითონ პროტოტიპია;
9. ობიექტების კლასების პროტოტიპი არის ობიექტი, რომელიც ყველაზე გამოკვეთილი ფორმით ასახავს კლასის, როგორც მთლიანის სტრუქტურას და რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ისეთი ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც ყველაზე უკეთ განასხვავებენ ამ ცნებით კლასს სხვებისაგან;
10. ობიექტის მიკუთვნებულობა კლასთან განისაზღვრება მისი პროტოტიპთან მსგავსებით;
11. ერთი და იგივე ობიექტი გავს სხვადასხვა პროტოტიპს და ამიტომ იდენტიფიცირდეს როგორც სხვადასხვა კლასის ობიექტი;
12. პროტოტიპთან მსგავსება და, შესაბამისად, განსაზღვრულ კლასთან მიკუთვნებულობა შეიძლება დაყვანილ იქნას პროტოტიპის გარკვეულ ნიშნებთან დამთხვევა-არდამთხვევასთან;
13. პროტოტიპული რეპრეზენტაცია სხვა არაფერია, თუ არა ობიექტების სიმრავლის დამახსოვრება მთლიანად სიმრავლისათვის დამახასიათებელი ნიშნების საშუალებით;

14. ზოგადობის სხვადასხვა ხარისხის მქონე ცნებები წარმოქმნიან იერარქიულ სისტემას;
15. ცნებისთვის დამახასიათებელი ნიშნები იძლევა განსხვავებული ქვეკლასების გამოყოფის საშუალებას, განმსაზღვრელები კი გამოხატავენ ობიექტების იმ თავისებურებებს, რომლებიც სპეციფიკურია მოცემული ცნებისათვის და იძლევა მასთან მიკუთვნებული ობიექტების ნებისმიერი სხვა კლასის ობიექტებისაგან განსხვავების საშუალებას;
16. ცნება მეხსიერებაში რეპრეზენტირებულია ნიშნების მოწესრიგებული სიმრავლის სახით.
17. ცნებების იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი არ არის ნიშნების მდგრადი ნაკრებები, თუმცაღა მოდელების მუშაობისათვის აუცილებელია, რომ ნიშნების რიცხვი მნიშვნელოვანი იყოს.
18. ობიექტი არის კლასის მით უფრო ტიპიური წარმომადგენელი, რაც უფრო დიდი ხარისხით შეესაბამება მისი ნიშნები მეხსიერებაში შენახულ ცნების ნიშნებს.
19. სემანტიკური მეხსიერების ელემენტები შეიძლება დაიყოს ელემენტებად, რომლებიც ასახავენ კლასიფიცირებადი ობიექტების თავისებურებებსა და მათ შორის დამოკიდებულებებს;
20. ქსელში ფიქსირდება სენსორული და კატეგორიალური ცნებები;
21. სენსორული ცნებები მეხსიერებაში ძირითადად რეპრეზენტირებულნი არიან ნიშნებით, რომლებიც ასახავენ ობიექტების თვალსაჩინო, სენსორულ თავისებურებებს. სენსორული ცნებები განიცდებიან როგორც უფრო თვალსაჩინო; თავისებურებებს. სენსორული ცნებები განიცდებიან როგორც უფრო თვალსაჩინო;
22. კატეგორიალური ცნებები ეფუძნება ფუნქციონალური კავშირების გამოყოფას, რომლებიც გარეგნულად განსხვავებულ ობიექტებს აერთიანებს მათი ერთნაირი ფუნქციის მიხედვით. კატეგორიალური ცნებების რეპრეზენტაცია წარმოადგენს ძირითადად ნიშნებს, რომლებიც ასახავს ცნებასთან მიკუთვნებული ობიექტების სიმრავლის სხვა ცნებით კლასებთან ტიპურ კავშირებს. ეს კავშირი შეიძლება გამოხატული იყოს ცნებასთან მიკუთვნებული ქვეკლასებით;
23. სემანტიკური მეხსიერების სტრუქტურა წარმოადგენს ქსელს, რომლიც შედგება ურთიერთდაკავშირებული ცნებებისაგან, ან ცოდნის ურთიერთდაკავშირებული ერთეულებისაგან;
24. ქსელში ყოველი ცნება წარმოდგენილია როგორც კვანძი;

25. ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებულია გზების საშუალებით, რომელიც შეიძლება აღინიშნოს როგორც მიმართული ასოციაციები ცნებებს შორის;
26. ამგვარ სტრუქტურაში ყოველი ცნება დაკავშირებულია სხვა ნებისმიერ ცნებასთან, ეს კავშირი შეიძლება იყოს გრძელი და არაპირდაპირი, მაგრამ საბოლოო ჯამში ორი ცნება მაინც უკავშირდება ერთმანეთს;
27. ძირითადი პროცესი, რომელიც მოქმედებს ამ სტრუქტურაში (ქსელში) არის კასკადისებურად გავრცელებადი აქტივაცია, რომელიც უზრუნველყოფს ამ ქსელში ინფორმაციის მისაწვდომობას, მასში გარკვეული ცნების (კვანძის) ძიება-ამოტანას;
28. აქტივაცია ვრცელდება მთელს ქსელში, რაც იმას ნიშნავს, რომ როცა ერთი ცნება აქტივირდება, ეს აქტივაცია ვრცელდება ყველა იმ ცნებაზე, რომელიც მასთან არის დაკავშირებული;
29. ნიშნები დაკავშირებულია თითოეულ ცნებასთან. ის გზები, რომლითაც ნიშნები ცნებას უკავშირდება სხვადასხვა სიგრძისაა. ეს სიგრძე დაკავშირებულია სიხშირესთან; უფრო ხშირი ნიშნები უფრო სწრაფად ვერიფიცირდება, ვიდრე იშვიათი ნიშნები;
30. კატეგორიის ტიპური ანუ ცენტრალური წევრები უფრო ზოგად კვანძებთან დაკავშირებულია უფრო მოკლე გზებით, მაშინ როცა ატიპური ან პერიფერიული წევრები დაკავშირებულია გრძელი გზებით. სხვა სიტყვებით, კატეგორიის ქსელის სტრუქტურაში გზის სიგრძე გვიჩვენებს, თუ რამდენად ენათესავება - ორი ცნება ერთმანეთს;
31. ცნებები, რომლებიც ამ იერარქიაში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული ამოტანისას საჭიროებენ უფრო ნაკლებ დროს და ცნების ან კატეგორიისათვის უფრო მნიშვნელოვანია;
32. პროტოტიპი შეიძლება წარმოადგენდეს არა კლასის ტიპურ წარმომადგენელს, არამედ ამ კლასის ჰიპოთეტურ წარმომადგენელს, რომელსაც აქვს არა კონკრეტული ობიექტისათვის დამახასიათებელი ნიშნები, არამედ კლასის ყველა ობიექტისათვის დამახასიათებელი ტიპური ნიშნები.

ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც პირამიდის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონეებს შორისაც. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას.

დასკვნა

თანამედროვე ინგლისურ ენაში „კონფლიქტის“ თემატურ სივრცეთა ქსელის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა გარკვეული კანონზომიერებები, რომელთა განზოგადების მეშვეობითაც ჩამოყალიბდა შემდეგი დასკვნა:

თემატურ სივრცეთა ქსელი წარმოადგენს მოცულობით, მრავალკომპონენტთან კონსტრუქტს, ინფორმაციის „კრებულს“, რომელიც მოიცავს თემატურად მთლიანობრივი და სტერეტიპული ცოდნის სეგმენტებს;

თემატურ სივრცეთა ქსელი, როგორც მრავალგანზომილებიანი ფენომენის ინტერპრეტაციათა რთული სისტემა, ობიექტური და რაციონალურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სინამდვილეს ჰგავს;

თემატურ სივრცეთა ქსელი „სინამდვილის მსგავსია“, თუ იგი წარმოადგენს სინამდვილის მენტალური მოდელს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქსელის მეშვეობით შესაძლებელია მოვლენათა გამომწვევი მიზეზების ახსნა, მოვლენათა პროგნოზირება, ასევე ადამიანის გრძნობითი და რაციონალური გამოცდილების ორგანიზება;

ქსელი არ გვეძლევა აღქმის ალგორითმების სახით - იგი მუდამ ფორმირების პროცესშია - ხდება ქსელის განუწყვეტელი „გადაწყობა“ რეალობის შესაბამისად;

„გადაწყობა“ არსებითად ცვლის ქსელს. მიუხედავად იმისა, რომ გადაწყობა ქსელს არღვევს და შესაბამისად, ადამიანებს რეალობის მათ მიერ მიღებული განსაზღვრების სისწორეში აეჭვებს, ქსელი მაინც ინარჩუნებს სამყაროს ხატისა და გამოცდილების კვლავწარმოების ფუნქციას;

ქსელი, როგორც ყოველდღიური ურთიერთობების, საზრისისეული ინტერპრეტაციების და ხელახალი ინტერპრეტაციების, უწყვეტი (მუდმივი) ქმნადობის პროდუქტია;

თემატურ სივრცეთა ქსელი წარმოადგენს გარკვეული კონცეპტის ირგვლივ ორგანიზებულ იერარქიზირებულ, ძირითად, ტიპურ და პოტენციურად შესაძლო ინფორმაციის მომცველ ერთეულს, რომელიც ასოცირდება ამა თუ იმ კონცეპტთან; ვალიდური თემატური სივრცეები ქმნის გარკვეულ კონცეპტუალურ ბადეს, რომელიც წარმოადგენს ცოდნის ერთგვარ მატრიცას, რომელშიც ელემენტების შერჩევა ხდება განსაზღვრული წესების გათვალისწინებით: ელემენტები უნდა შეესაბამებოდნენ

რომელიმე ერთ სფეროს, ყველანი ერთად კი აზრობრივად (შინაარსობრივად) იყვნენ დაკავშირებული;

თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირების პროცესი ეყრდნობა როგორც ლოგიკურ და ასოციაციურ აზროვნებას, ისე გეშტალტ-ფსიქოლოგიას;

ლოგიკური აზროვნების ფარგლებში აქტივიზირდება ისეთი ოპერაციები, როგორცაა: განსაზღვრება; შედარება და განსხვავება; ანალიზი; აბსტრაქცირება; განზოგადება; კლასიფიკაცია; კატეგორიზაცია;

ასოციაციური აზროვნების ფარგლებში იქმნება ზოგადი ცნებებით დაკავშირებულ იდეათა ჯაჭვი, რომელიც მოიცავს: სხვადასხვა კავშირის საფუძველზე ჩამოყალიბებულ ასოციაციებს; წარსული გამოცდილების გახსენებას; ჩვეულ რეაქციებს და სხვა;

ქსელის ფორმირების პროცესი შეიძლება განვიხილოთ „ურთიერთქმედების რიტუალის“ ერთგვარ ფორმად, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური ცოდნისა და გამოცდილების კოლექტიურ ცოდნათა და გამოცდილებად გარდაქმნის პროცესს;

ქსელის კონტინუუმის კვლევა გულისხმობს „შემთხვევებისა“ და „ინტერპრეტაციების“ ანალიზს ზოგად კანონზომიერებათა იდენტიფიცირების მიზნით;

კანონზომიერებები ქსელის ელემენტთა მარგანიზებული ძალაა. სწორედ ეს ძალა გარდაქმნის ქსელის ინდივიდუალურ პლანს ზეინდივიდუალურად;

საბოლოო ჯამში, თემატურ სივრცეთა ქსელის კონსტრუირება მიზნად ისახავს ცოდნის პირამიდის აგებას, რომელიც გულისხმობს ცნებათა იერარქიულ კონსტრუქტს, რომელშიც ვლინდება გაგების გაღრმავება და ცნებათა აბსტრაქტულობის დონის ამადლება.

ცნებებს შორის დამოკიდებულება ვლინდება როგორც პირამიდის თითოეული დონის ფარგლებში, ისე დონებს შორისაც. პირამიდა აკავშირებს ყველა ცნებასა და მათ შორის არსებულ ყველა მიმართებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ლევანიძე გ. (2004). კულტუროლოგიის საფუძვლები. თბილისი

ღლონტი, ა.(1971). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბილისი

Арнольд, И. В.(1973) *Стилистика Современного Английского языка*. Ленинград

Брунер, Дж. (1977). *Психология познания*

- Виноградов, В. (1938). *Современный русский язык*
- Виноградов, В. (1947). *Фразеологические сочетания.*
- Демьянков, В.З. (1989). *Интерпретация, понимание и лингвистические аспекты их моделирования на ЭВМ.* Изд-во Моск. ун- та
- Демьянков, В.З. (1992). *Когнитивизм, когниция, язык и лингвистическая теория // Язык и структуры представления знаний*
- Демьянков, В.З. *Когнитивная лингвистика как разновидность интерпретирующего подхода*
- Демьянков, В.З. (2001). *Понятие и концепт в художественной литературе и в научном языке // Вопросы филологии. № 1.*
- Кубрякова, Е.С. (1995). *Эволюция лингвистических идей во второй половине XX века .* Институт языкознания
- Кунин, А. (1972). *Курс фразеологии современного английского языка*
- Маслова, В.А. (2001). *Лингвокультурология*
- Павиленис, Р. (1983). *Проблема смысла: современный логико-философский анализ языка.* Москва
- Alexander, R.J. (1978). *Fixed expressions in English*
- Anderson, A. (1996). *Functional Theory of Cognition.* Mahwah New Jersey
- Altenberg, B. (1998). *On the phraseology of spoken English:* Oxford: Clarendon Press.
- Arbib, M.A. (1985). *In search of the person: Philosophical explorations in cognitive science.* Amherst
- Everaert, M., & Kuiper. K. (1996). *Theory and data in idiom research.*
- Barsalou, L.W. (1992). *Frames, concepts, and conceptual fields. See Lehrer and Kittay.*
- Bednar, D. A., & Hineine, J (1982). *The management of meaning through metaphors.* New York
- Bedell, G. (1974). *The arguments about deep structure*
- Berriman, W. A. (1978). *Alternative Conceptual Schemes. Metaphilosophy*
- Bloomfield, L. (1939). *Language, NI*
- Burger, H, Buhofer, A., & Sialm, A., (1982). *Handbuch der Phraseologie.* Berlin/New York: de Gruyter
- Burling, R. (1964). *Cognition and Componential analysis. In American Anthropologist 66. Man's Many voices,* New York, Holt, Rinehart & Winston Inc.
- Castaneda, H. (1989). "Philosophy as a Science and as a Worldview." In *The Institution of Philosophy*
- Caverni, J, Fabre, J., & Gonzalez, M. (1990) *Cognitive Biases.* Amsterdam Elsevier
- Christopher, H., & Dominik, L. (2007). *Cognitive Linguistics In Critical Discourse Analysis: Application And Theory*

- Coulson, S., & Oakley, T. (2000). *Blending basics. Cognitive Linguistics 11*
- Cowie, A. (2008). *Phraseology: Theory, Analysis, and Applications*. Oxford Studies in Lexicography and Lexicology
- Corson, D.(1995). “*Worldview, Cultural Values and Discourse Norms: The Cycle of Cultural Reproduction*. International Journal of Intercultural Relations
- Croft, W.,&Cruse, A. (2000). *Cognitive Linguistics*
- D'Andrade, R. (1985). *Character terms and cultural models*. In Janet W. D Dougherty (ed.), Directions in cognitive.
- Das-Smaal, E.A. (1990). *Biases in categorization*. Amsterdam: Elsevier
- De Mey, M. (1992). *The cognitive paradigm: An integrated understanding of scientific development*. Chicago University of Chicago Press
- Devitt, M.(1990). *A narrow representational theory of the mind // Mind and cognition*. Oxford Blackwell
- Diesendruck, G. (2003). *Categories for names or names for categories?Language and Cognitive Processes*
- Dierks, A. J. (1983). *Communication and Worldview. Missionalia*
- Dirven, R, Roslyn, F., & Pütz, M.,(2003).*Cognitive models in language and thought: Ideology, metaphors and meanings*. Berlin Mouton de Gruyter
- Dirven,R., & Verspoor, M. (1998). *Cognitive Exploration of Language and Linguistics*. Amsterdam Benjamins
- Dirven, R., & Taylor, J.(1988). *The conceptualisation of vertical space in English*. Amsterdam
- Dobrovol'skij, D. (1980). *Phraseologie als objekt der Universalienlinguistik*
- Dunn, W. N. Cahill A. G. Dukes M. J.,& Ginsberg, A. (1986). *Cognitive Methodology: Perspectives, Concepts, and Methods*, JAI Press
- Duranti, A. (2013). *Linguistic anthropology*. Cambridge University
- Erickson, P., Murphy, L.(2003). *A History of Anthropological Theory*
- Eugene, H.(1996).*Cognitive Linguistics in the Redwoods: The Expansion of a New Paradigm in Linguistics*.
- Evans, V.(2013). *Language and Time: A Cognitive Linguistics Approach*
- Fauconnier,G.(1994).*Mental Spaces. Aspects of Meaning Construction in Natural Language*. Cambridge: Cambridge University Press
- Fedoseyev, P. N.(1978). *Philosophy in the System of World Views. Dialectical Humanism 5*
- Fernandez, J. (1991). *Beyond Metaphor: The Theory of Tropes in Anthropology*. Stanford University Press
- Fodor, J. (1990). *Defending the language of thought*.
- Foldes, C.(1990). *Phraseologie und Landeskunde am Material des Deutschen und Ungarischen*.

- Gaines, B. R.(1997). *Shaw, M. L. G. Knowledge modeling*. Knowledge Science Institute, University of Calgary.
- Galperin, I. (1968). *An Essay in Stylistics*. Moscow
- Gardiner, A.(1985). *The mind's new science: the history of cognitive revolution*. N-Y
- Gibbs, Raymond W.(2006). *Introspection and cognitive linguistics: Should we trust our own intuitions? Annual Review of Cognitive Linguistics*
- Ginsburg, R. (1977). *A Course in Modern English Lexicology*. Moscow
- Globerson, T., & Zelniker, T. (1989). *Introduction // T. Globerson, T. Zelniker eds. Cognitive style and cognitive development*.Norwood
- Grady, E, Oakley, T., & Coulson, S. (1999). *Blending and Metaphor*. In G. Steen & R. Gibbs (eds.), *Metaphor in cognitive linguistics*, Philadelphia: John Benjamins
- Green,E,V,&M.,(2006).*Cognitive linguistics: An introduction*. Edinburgh, UK: Edinburgh University Press;
- Guiraud, P. (1962). *Les Locutions Francais*
- Hampton, J. (1997). *Conceptual combination*. In: Lamberts, K. & Shanks, D. *Knowledge, Concepts and Categories*. Cambridge
- Harnad, S. (1990). *The symbol grounding problem*
- Hayward,T. (1997). *Anthropocentrism: A Misunderstood Problem*
- Heit, E. (1997). *Knowledge and concept learning*. In: Lamberts, K. & Shanks, D. *Knowledge, Concepts and Categories*. Cambridge
- Hiebert, G.(1997) *Conversion and Worldview Transformation*. *Internation Journal of Frontier Missions*
- Holmes, A. (1967).*Phenomenology and the Relativity of World-Views*. The Personalist 48
- Humboldt, W.(1988). *On language: The diversity of human language-structure and its influence on the mental development of mankind*. Translated by Peter Heath. Cambridge, UK
- Humboldt, W. (1985). *Language and cultural philosophy*
- Huttar, G. L.(1977).*Worldviews, Intelligence, and Cross-Cultural Communication*. *Ethnic Studies*
- Jackendoff ,R. (1992). *What is a concept ? Frames, fields, and contrasts*. *New essays in semantics and lexical organization*. Michigan Hillsdale
- Jackendoff, R. (1983). *Semantics and cognition*. Cambridge
- Jackendoff, R.(1990). *Semantic structures*. Cambridge
- Jakobson, R.(1982). *The Metaphoric and Metonymic Poles*. In *Fundamentals of Language*
- Jocelyne,D., Zenner, E.,& Heylen, K.(2015).*Change of Paradigms – New Paradoxes: Recontextualizing Language and Linguistics*
- Johnson, M. (1987). *The Body in the Mind. The Bodily Basis of Meaning, Reason and Imagination*, Chicago University of Chicago Press

- Jones, W. T.(1972). *World Views. Their Nature and Their Function.* *Current Anthropology*
- Katz, E. (1999). *A Pragmatic Reconsideration of Anthropocentrism.* *Environmental Ethics* 21
- Kearney, M. (1975). *World View Theory and Study.* *Annual Review of Anthropology*
- Keesing, R.(1976).*Worldview and Cultural Integration. In Cultural Anthropology: A Contemporary Perspective.* New York
- Keith, A. (1986). *Linguistic Meaning.* Routledge & Kegan Paul
- Kiernan, J.(1981). *Worldview in Perspective. Towards the Reclamation of a Disused Concept.*
- Langacker, R.(1998). *Conceptualization, symbolization and grammar.*
- Lakoff, G.(1977). *Linguistic gestalts .CLS. v. 13*
- Lakoff, G., & Johnson, M. (1980). *Metaphors we live by.*
- Lee, D.(2002). *Cognitive Linguistics: An Introduction.*
- Lehrer, A.,& Kittay E. F. (1992).*Frames, fields, and contrasts.* Hillsdale, NJ: Erlbaum.
- Le Pan, D.(1989). *The cognitive revolution in Western culture.* Macmillan
- Levinson, (2005). *Pragmatics.* Cambridge University Press
- Lucy, John A. (1997). *Linguistic relativity. Annual Review of Anthropology*
- Marjolijn H. V.(1998). *Cognitive Exploration Of Language And Linguistics*
- Miller, L.(1997) .*Worldview Development and Disciplining the Nations. International Journal of Frontier Missions*
- Molcar, C. (1986). *World View and Purpose in Life. M. A. Thesis.* California State University
- Naess, A. (1964). *Reflections About Total Views. Philosophy and Phenomenological Research* 25
- Osika, J.(1995). *“Philosophy of Science, Psychology and World Hypotheses: Development and Validation of a World View Scale Constructivism and Scientism.* The Fielding Institute
- Gonzalez-Marquez ,M, Coulson, S.,& Spivey, M., (2006). *Methods In Cognitive Linguistics*
- Naciscione, A. (2010). *Stylistic Use Of Phraseological Units In Discourse*
- Palmer G. B., &Woodman, C. (1999).*Ontological classifiers as polycentric categories. Explorations in linguistic relativity.* Amsterdam
- Planck, M. (1915). *Eight Lectures on Theoretical Physics.*
- Radden, G.(1992). *The cognitive approach to natural language.* Amsterdam: Benjamins
- Rey, A.(1977). *Le Lexique images et modules. Du dictionnaire a la lexicologie*
- Romero, J.(2014). *New Empirical and Theoretical Paradigms*
- Ronald,L. (1967). *Language and Its structure some fundamental linguistic concepts*
- Rosch, E.(1978). *Principles of categorization.* In Rosch, E., & Lloyd, B.B. (eds.), *Cognition and categorization.* Hillsdale. Erlbaum.
- Shoreman-Ouimet, E.,&Kopinina, H. (2015). *Culture and Conservation: Beyond Anthropocentrism*

- Sinha, C., & Jensen de López, K. (2000). *Language, culture and the embodiment of spatial cognition*. *Cognitive Linguistics*
- Skandera, P. (2007). *Phraseology and Culture in English*. *Topics in English Linguistics*
- Spradley, J., & McCurdy, D. (1975). *World View and Values*. In *Anthropology: The Cultural Perspective*. New York: John Wiley and Sons
- Talmy, L. (2000). *Toward a cognitive semantics*. 2 vols. Cambridge
- Tomasello, M., & Call, J. (1997). *Primate Cognition*. Oxford: Oxford University Press,
- Tomasello, M. (1998). *The New Psychology of Language: Cognitive and functional approaches to language structure*
- Tomasello, Z. (2006). *Language, Mind and Culture. A Practical Introduction*. Oxford University Press
- Toulmin, S. (1972). *Human understanding*. Princeton, NJ: Princeton University Press.
- Ulmann, S. (1964). *Language and Style. Collected papers*. Oxford
- Weisgerber, L. (1959). *Sprach Schlüssel zur Welt*, Düsseldorf
- Whorf, B. L. (1956). *Language, mind, and reality*. In: J.B. Carroll (ed.), *Language, thought and reality*. Cambridge, Massachusetts.
- Wierzbicka, A. (1992). *Semantics, culture, and cognition*. Oxford University Press
- Wilensky, R. (1990). *Meaning and knowledge representation*. Berlin